695
1972



# საქართველოს ქალი

თებერვალი
№ 2 1972 წ.

აბაშა. საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.





თბილისი. ახალი აბანო გორგასლის ქუჩაზე.

# მწყობრში ჩადგა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტები



წყალტუბო. საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.


„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვანის წითელი დროშის ორდენოსანი რიგა შენგელაია რგოლის წევრებთან (დიხაშხოს კოლმეურნეობა).

## სოციალისტური შეჯიბრება სოფლად

# ვანელთა სიტყვა და საქმე

მხოლოდ ერთი ხუთწლედი დასჭირდა იმ დიდ გარდაქმნებს, რაც ვანის რაიონში შეგიძლიათ იხილოთ; დაჭაობებული ადგილი ხელოვნურ ზღვად უქცევიათ, ხრიოკ გორაკზე ნაძვნარი გაუშენებიათ, მდინარე სულორისათვის კალაპოტი შეუცვლიათ, ნამდინარალზე კი მარადმწვანე მცენარეები უმრავლებიათ, ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის მოედნები და საცურაო აუზი მოუწყვიათ, საცხოვრებელი სახლები, ახალი სასტუმრო, საშუალო სკოლა, პროფტექნიკური სასწავლებელი, საბავშვო ბაღი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, აფთიაქი, სანეპიდსადგური უშენებიათ. თავიანთი კუთხის საამაყო შვილის — გალაქტიონ ტაბიძის სახელობის სკვერი პოეტის ძეგლით და მისი შემოქმედების ამსახველი ქანდაკებებით დაუმშვენებიათ.

ცვლილებები სხვაც ბევრი მოხდა: გაფართოვდა სარაიონო კულტურის სახლი, რუსთაველის სახელობის გორაზე პიონერთა ბანაკი მოეწყო. შუაგორას, ქვედაგორას, სალხინოს, ამაღლებას, კირთვს, უხუთს — საშუალო სკოლები აუშენდათ, მთისძირს — რვაწლიანი, ზენობანს კი — დაწყებითი. ეს ყველაფერი გასული ხუთწლედის შენაძენია.

დღეს კი ვანელები ახალი მეცხრე ხუთწლედით ცხოვრობენ. ახალი ვალდებულებებიც იკისრეს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესასრულებლად. ერთ-ერთი ამოცანა, რაც ამ ხუთწლედში განხორციელდება, იალაღებისაკენ მიმავალი გზის გაყვანაა, რაზეც ვანელებთან ერთად სამტრედიელები, მაიაკოვსკელები და ლანჩხუთელებიც ოცნებობდნენ.

სოფელ უხუთიდან ეწყებოდა ჯაგნარი და ტყიანი. უგზოობის გამო მთების კალთებზე უქმად ბიბინებდა სათიბი მდელოები და იალაღები. ახლა მთელი რაიონი ფეხზე დგას. ვინ აღარ მონაწილეობს საშვილიშვილო საქმეში. თხუთმეტ კილომეტრზე გაკაფეს ეკალ-ბარდი, გაწმინდეს გორაკები და დასაბამი მისცეს მეცხოველეობის მტკიცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვები ბაზის შექმნას. 1.800 მეტრ სიმაღლეზე ასობით ჰექტარი საძოვრები და 1.000 ჰექტარი სათიბი შეემატება რაიონს, მაშინ ვანელები წარმატებით გადაწყვეტენ მეცხოველეობის განვითარების პრობლემას.

1971 წელს ვანის რაიონის მშრომელებმა გალისა და მარნეულის მშრომელებთან ერთად დიდი თაოსნობა იკისრეს — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების შესასრულებლად. ვალდებულებანი ითვალისწინებენ, რომ ხუთწლიანი გეგმის დავალებანი საზოგადოებრივ მეურნეობებში შესრულდეს 1973 წელს, ხუთწლედის განმავლობაში გეგმის გადაჭარბებით გააშენონ 150 ჰექტარი ვენახი და 350 ჰექტარი ხეხილის ბაღი. 1972-სა და მომდევნო წლებში სახელმწიფოს ყოველწლიურად მისცენ 5 ათასი ტონა ბოსტნეული, გეგმით გათვალისწინებული 2 ათასი ტონის ნაცვლად; განავითარონ მეკარტოფილეობა, რისთვისაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ახალი გზის გაყვანა. ფართოდ უნდა გავრცელდეს მოწინავე მევენახეთა ინიციატივა, რათა თითოეულ კოლმეურნეობას ჰყავდეს ორმოცდაათამდე დამკვრელი მაინც, რომლებიც ნახევარ ჰექტარ სრულმოსავლიან ზვრებს გაიპიროვნებენ და ჰექტარზე საშუალოდ ას ცენტნერ ყურძენს მოიწევენ.

ვანელებს გადიდებული ვალდებულებები აქვთ ნაკისრი მარცვლეულის, ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოებაში.

ნაკისრ ვალდებულებათა დიდი წილი სულორის საბჭოთა მეურნეობაზე მოდის. იგი 1970 წელს შეიქმნა გადიდის, ბულუხისა და სულორის კოლმეურნეობათა ბაზაზე. დაარსების პირველსავე წელს სულორელებმა მარტო მეხილეობიდან 11.000 მანეთის მოგება მიიღეს და გახალისებულებმა მომდევნო წელიწადს 105 ჰექტარზე გააშენეს ხეხილის ბაღები. მალე ახალ ფართობებზეც გააშენებენ ხეხილის ბაღებს. გასულ წელს ნოემბრის შუა რიცხვებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.440 ცენტნერის ნაცვლად 2.100 ცენტნერი ხილი მიჰყიდეს სახელმწიფოს. 500 ცენტნერი ყურძნის ნაცვლად — 571 ცენტნერი, თითოეული ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 18,8 ცენტნერის ნაცვლად 24,8 ცენტნერი ჩაი მოკრიფეს. ეს ყოველივე მოწინავე მეურნეობის ქალების ქატუ და ვარდო ხურციძეების, ანიკო და მანია დვალიშვილების, თალიკო ადეიშვილის და სხვათა დამსახურებაცაა. ახლა მთელი ყურადღება იქითკენაა მიმართული, რომ უზრუნველყონ პირუტყვი უხეში და წვნიანი საკვებით. საამისოდ ადრევე დაიწყეს სამზადისი. დათესეს სოია, ტურნეფსი, მოიმარაგეს უხეში საკვები. თივის დამზადების ხელშეკრულება დადეს ლანჩხუთის რაიონის საკვებმომპოვებლებთან. მეურნეობა თანდათან იზრდება. წამოიწყეს ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, სახნავას დაწყებით სკოლას შენობა აუგეს, რაიონის ცენტრიდან გადიდსა და მეურნეობაში სამანქანო გზები გაიყვანეს.



სკვერი რაიონის ცენტრში

ფოტო დ. იაკობაშვილისა



ნათელა მეხიაძე — ცეკავშირის ვანის საწარმოო კომბინატის მკერავი.



ვანის საბავშვო ბაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკოლა-ინტერნატში

გასული წლის მარტში ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო ნარკვევზე.

ჟიურიმ შეაჯამა კონკურსის შედეგები. პირველი პრემია ვერცერთმა ნარკვევმა ვერ ირგუნა. მეორე პრემია მიეკუთვნა მარგო თომაძის ნარკვევს — „წინ ნაცნობი ბილიკებია" და სულიკო სალუქვაძის ნარკვევს — „რომელ კლასში ხარ, გოგონა?"

საკონკურსო მასალებიდან ჟურნალში დასაბეჭდად რეკომენდებულია დამანა მდივნიშვილის წერილი — „მამის კვალზე წასული ქალიშვილი" და ბეგლარ ნოზაძის — „ქალიშვილი მაზარით".

ნაწილი განხილული მასალებისა მუშაობის შემდეგ გამოდგება დასაბეჭდად, რის შესახებაც ეცნობა ავტორებს.

კონკურსმა გამოავლინა რამდენიმე საინტერესო ბიოგრაფიის ქალი, რომელთა ცხოვრება და საქმიანობა, ვფიქრობთ, ყურადღების ღირსია. რედაქციამ გადაწყვიტა მათზე სათანადო წერილების მომზადება.



ეთერ თელია — ბზვანის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

მეურნეობას უფრო დიდი პასუხისმგებლობა იმიტომაც აკისრია, რომ სოფელი ერთ-ერთ საუკეთესო კურორტად ითვლება.

ბზვანის კოლმეურნეობა ძლიერია რაიონში. აქაურებმა შარშან წლიური გეგმა ათ თვეში შეასრულეს... კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ეთერ თელია ბზვანელთა ამ წარმატებას მოწინავე კოლმეურნე ქალებსაც მიაწერს, განსაკუთრებით კი ნელი და ნორა ტყეშელაშვილებს, ნანო მჟავანაძეს, ნელი და ზაირა ხანთაძეებს, აიგულ სურგულაძეს. კოლმეურნეობის საკვებმომპოვებელთა ბრიგადამ კი მთელს რაიონში გაითქვა სახელი.

დიხაშხოელებს ძლიერი კოლმეურნეობა აქვთ. შარშანდელი გეგმები მათაც გადაჭარბებით შეასრულეს. განსაკუთრებით ეამაყებათ მებოსტნეობის რგოლის მიღწევები. რგოლში 23 ქალია. მათ 2,2 ჰექტარ ფართობზე 209 ცენტნერი ხახვი უნდა მოეყვანათ, სინამდვილეში კი 423 ცენტნერი მოიყვანეს. კარგი საქმიანობით თავი ისახელეს შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა რამა შენგელაიამ, რუსუდან შენგელაიამ, კატუშა გიორგაძემ, ვერა გაბუნიამ, მერი ერამეიშვილმა.

არ შეიძლება რაიონში სტუმრად ჩასულს მთისძირის კოლმეურნეობაზე არაფერი უთხრან. ეს კოლმეურნეობა სხვათაგან გამორჩეული იმითიც გახლავთ, რომ იქ ერთი დარბაისელი გამრჯე ქალი ჰყავთ. მისი სახელი ვანს გასცდენია და საქართველოში უკვე ბევრს სმენია მეაბრეშუმე ალექსანდრა გეგენავაზე. გასულ ხუთწლედში 238 გრამი აბრეშუმის მური გამოკვება, გეგმით გათვალისწინებული 448 კილოგრამი პარკის ნაცვლად 1.454 კილოგრამი მიიღო და ხუთწლედის გეგმა 325 პროცენტით შეასრულა. 1971 წელს 5.000 მეტრი ფართობიდან 3.259 კილოგრამი ხახვი და 3.030 კილოგრამი კიტრი მოიწია. ვალდებულება იკისრა სამ წელიწადში შეასრულოს მეცხრე ხუთწლედის გეგმა, ხუთ წელიწადში კი — შვიდი-რვა წლისა.

ზედა ვანის კოლმეურნეობა ემადლიერება ქენია ძაგნიძეს. მან გაპიროვნებული 0,1 ჰექტარი ფართობიდან გეგმით გათვალისწინებული 900 კილოგრამის ნაცვლად 2.117 კილოგრამი ხახვი მიიღო და თავისი შრომითი მაჩვენებლით ყველა მებოსტნეს გაუსწრო. მითუმეტეს, რომ იგი კოლმეურნე კი არ გახლავთ — ერთ-ერთ დაწესებულებას ხელმძღვანელობს ვანში.

რაიონში ერთი საბჭოთა მეურნეობა და ცხრამეტი კოლმეურნეობაა. თითოეული მათგანის, თითოეული მისი წევრის დამსახურებაა, რომ რაიონმა გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების გეგმა.

რაიონი დიდი ამოცანების წინაშე დგას — გაანაღდოს მეცხრე ხუთწლედში ნაკისრი ვალდებულებანი, წარმატებანი მოიპოვოს სოციალისტურ შეჯიბრებაში და სიტყვა საქმედ აქციოს — ხუთწლედი შეასრულოს ოთხ წელიწადში.

თიურა ვაშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტექნიკური ესთეტიკა









ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინსტიტუტი

ფერადი ფოტო დ. იაკობაშვილისა







ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მზარდი აღმავლობა განსაზღვრავს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობას, მათი სამუშაო, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მეცნიერებისა და ტექნიკის ინტენსიურმა განვითარებამ, ადამიანზე ყოველდღიურმა ზრუნვამ განაპირობა ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტების ჩამოყალიბება. 1964 წელს თბილისში შეიქმნა ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი ზურაბ თავართქილაძე.

საქართველოს ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტი თანამედროვეობის კულტურულ-ესთეტიკური მოთხოვნილების შესაბამისად, ამუშავებს და ქმნის ტექნიკას. მაგრამ ტექნიკის ესთეტიკიზაცია არ გულისხმობს ტექნიკაში მხოლოდ დახვეწილი, ესთეტიკური ფორმის დამკვიდრებას. ტექნიკის ინსტიტუტის უპირველესი მიზანია, ტექნიკაში ესთეტიკის დანერგვისას ადამიანის, მანქანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინება ერგონომიკის თვალსაზრისით.

მეცნიერების უახლესი დარგის, ერგონომიკის დედაარსია აკადემიკოს უზნაძის განწყობის თეორია.

„ერგონომიკა" ბერძნული სიტყვაა და „შრომის კანონს" ნიშნავს. სხვანაირად, ამ მეცნიერებას საინჟინრო ფსიქოლოგიასაც უწოდებენ. ერგონომიკა სწავლობს ადამიანის, მანქანისა და სამუშაო გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას შრომის პროცესში.

— კოსმოსისა და კიბერნეტიკის ეპოქაში გართულდა ადამიანის სოციალური და ტექნიკური გარემო. ადამიანსა და მართვის ობიექტებს შორის ჩადგა სამართავი პულტები, ინფორმაციის ასახვის საშუალებანი: ნიშნები, სიმბოლოები, ფორმულიარების ცხრილები და სხვა. მართვის ასეთი პირობები სიძნელეებს ქმნის და ადამიანის ფსიქიკურ მოქმედებას რთულ მოთხოვნებს უყენებს. ერგონომიკის მიზანია დაეხმაროს ადამიანს, ტექნიკა და სამუშაო გარემო შეუფარდოს მის შესაძლებლობებს, შეისწავლოს ადამიანის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები შრომის პროცესში და შექმნას რეკომენდაციები: იოლად გამოსაყენებელი, სამართავად მოხერხებული, ოპტიმალური ტექნიკის შესაქმნელად, — გვეუბნება ამ განყოფილების ხელმძღვანელი ტარიელ იოსებაძე.

ერგონომიკა კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც თავს უყრის ფსიქოლოგების, ფიზიოლოგების, სოციოლოგების, ტექნიკის სპეციალისტების ცოდნასა და გამოცდილებას. პირველ პლანზე აყენებს ადამიანს, მის ინტერესებს. სწავლობს მის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ სამყაროს, ითვალისწინებს ადამიანის ფსიქიკურ ფუნქციონალურ შესაძლებლობებს: ყურადღებას, აღქმას,

ეროვნული ბიბლიოთეკა





მეხსიერებას, აზროვნების სისწრაფეს, ხიზუსტეს, ემოციურ მხარეს, სხვადასხვა სიტუაციაში წონასწორობის შენარჩუნების უნარს.

ერგონომიკა თავისი ამოცანების გადასაწყვეტად ლაბორატორიებს იშველიებს. სოციალური ფსიქოლოგიის, საინჟინრო ფსიქოლოგიისა და ვიზუალური ანუ მხედველობითი აღქმის ლაბორატორიებში ერგონომისტები ყველა მოსაზრებას მეცნიერულად ამოწმებენ, ადასტურებენ და ამუშავებენ რეკომენდაციებს მხატვარი კონსტრუქტორებისა და გრაფიკოს-დიზაინერებისათვის (დიზაინი მხატვრულ კონსტრუქციას ნიშნავს, დიზაინერი კი — მხატვარ კონსტრუქტორს), რომლებიც უშუალოდ ქმნიან კომუნიკაციის ვიზუალურ საშუალებებს: კაზუალურ ნიშნებს, ემბლემებს, ეთიკეტებს, რეკლამას. ვიზუალური ნიშნები უნდა გამოხატავდეს საგანს, აღიქმებოდეს იოლად, ამოიცნობოდეს სწრაფად, იყოს ადვილად დასამახსოვრებელი, განაწყობდეს ადამიანს მოქმედებისათვის. ერგონომისტები სწავლობენ ადამიანის ფუნქციურ მდგომარეობას შრომის პროცესში. მუშაობის დროს ქვეითდება გარკვეულ ორგანოთა ფუნქციები, იქანცება ადამიანი, უქვეითდება შრომისუნარიანობა და შრომის ხალისი, თავს იჩენს პროფესიონალური დაავადებანი. სპეციალისტები იკვლევენ და სწავლობენ ნორმალური ფუნქციური მდგომარეობიდან გადახრის მიზეზებს, იძლევიან რეკომენდაციას დადგენილი სანიტარული და ფიზიოლოგიური ნორმების დასაცავად.

მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობათა მხატვრული კონსტრუირების განყოფილებას სათავეში უდგას დიზაინერი პაპუნა მელქაძე. განყოფილების მუშაობის პრინციპია ნებისმიერი საგნის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესება. ადამიანის უტილიტარული და მორალურ-ესთეტიკური მოთხოვნილების შესაბამისად. ამასთანავე საგანი ეკონომიური, იაფი და მომგებიანი უნდა იყოს. აქვე უნდა განისაზღვროს ნაწარმის დასამზადებელი მასალა და დამზადების ტექნოლოგია. ამ განყოფილებაში აპროექტებენ, როგორც მძიმე მრეწველობის მანქანა-იარაღებსა და რთულ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს, ისე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებს. განყოფილებაში მუშაობს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ინიციატივით შექმნილ ნაწარმს, იხილავს, აფასებს და აძლევს, ან არ აძლევს უფლებას წარმოებაში დასანერგად. განყოფილების ყველაზე დიდი დამკვეთია რუსეთის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიურო და ცალკეული საწარმოები. დიზაინერებმა ამ უბანზე სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების გამრეცხი, დასაზეთი, საწვავით მომმარაგებელი, ბორბლების გამომცვლელი უნივერსალური მანქანა-დანადგარები შექმნეს. საავტორო უფლება და დიდი ჯილდო მოიპოვეს დიზაინერებმა ბეტონის დასაწნეხი დანადგარისათვის. მოწონებას იმსახურებს გადასატანი ელექტროსადგური გეოლოგებისათვის, რომელიც თავის წინაპართან შედარებით ბევრად მსუბუქი და ადვილად გადასატანია.

საწარმოო და საზოგადო ინტერიერების პროექტირების განყოფილების გამგეა მხატვარ-კონსტრუქტორი გაბრიელ ნადარეიშვილი. აქ დიზაინერები ქარხნებისა და საწარმოების ტერიტორიებისა და წინატერიტორიების დამშვენებისა და კეთილმოწყობისათვის ზრუნავენ. მათი პროექტებით ეს ადგილები შრომელთა დასასვენებელ და გასართობ ბაღებად და ზურმუხტოვან სკვერებად გადაიქცევა. აპროექტებენ სპორტულ მოედნებს, ფანჩატურებს, დასასვენებელ კუთხეებს, რადიოს, გაზეთების სტენდებს და სხვებს, დიზაინერები ალამაზებენ საწარმოთა ცალკეულ კაბინეტებსა და ინტერიერებს. შრომის ხასიათისა და გარემო პირობების მიხედვით ღებავენ საამქროებს ფუნქციონალური ფერებით. ფერები ადამიანს სხვადასხვანაირად განაწყობს გარემოს აღქმისას. მაგალითად, ცხელ და ხმაურიან საამქროებს თუ ცივი ფერებით შეღებავთ, ობიექტურად ხმაური და ტემპერატურა უცვლელი დარჩება, მაგრამ ადამიანის სუბიექტური შეგრძნება ხმაურისა და ტემპერატურის მიმართ საგრძნობლად შემცირდება. ასევე ცივსა და მყუდრო საამქროებში ლაჟღაჟა, ნაპერწკლიანი ფერები ადამიანს „ათბობს", მოწყენილობასა და უგუნებობას უმსუბუქებს. დიზაინერებმა ერგონომიკის საფუძველზე მრავალი საწარმოსა და ქარხნის მხატვრული კონსტრუირება მოახდინეს: გორის ბამბეულის კომბინატს მთლიანად შეუცვალეს სახე: ვეებერთელა, ხმაურიანი საამქრო ორ ნაწილად დატიხრეს, კედლებსა და ჭერს აკუსტიკური, ხმისჩამხშობი ფილები დაატანეს და ხმაური შეამცირეს. შეკიდული ჭერი გააკეთეს და დააპროექტეს სპეციალური გამანათებელი არმატურა, რომელიც ყველა მუშას ერთნაირად აწვდის სინათლეს. ძაფის ტენიანობისათვის მაღლა, კედლების გასწვრივ გაყვანილი ორთქლის მილები, რომლებიც საამქროში ორთქლის ზედს აყენებდა და მუშახელს ავადებდა, მოხსნეს და თვით მანქანებზე დააპროექტეს ადგილობრივი დამტენიანებელი, რომელიც მხოლოდ ძაფისთვის საკმარის ტენს გამოჰყოფს და სრულიად უვნებელია ადამიანისათვის. ასევე დააპროექტეს თბილისის მაუდ-კამვოლისა და ტრიკოტაჟის კომბინატები, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატი. წარმოების მრავალ უბანზე გააუმჯობესეს ქალთა სამუშაო პირობები. დააპროექტეს ოკამის ღვინის ქარხანა. ქარხნის მახლობლად გორაკზე, მუშა-მოსამსახურეთათვის საკურორტო ქალაქის ულამაზესი კოტეჯები აიგება.

ინტერიერებისა და ავეჯის განყოფილების მუშაობას ხელმძღვანელობს იზა შალიკაშვილი. მხატვარი კონსტრუქტორები გვთავაზობენ უახლესი ტიპის ავეჯს: სადას, დახვეწილს, მსუბუქსა და მოხერხებულს. თვალს ატყვევებს მათი ნახელავი უნიფიცირებული ავეჯი — საძინებელი ოთახის გარნიტურები. მშვენიერია მათი საგარაკო ავეჯი. მისი პროექტი შეიმუშავეს და ავეჯის დამზადება დაიწყეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. საგარაკო ავეჯი, ადვილად სახმარი და გადასატანია, ის დასაკეცია. დაკეცილი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძინებელი ოთახის გარნიტური ორი საშუალო ზომის ჩემოდანს ქმნის და მსუბუქი ავტომობილის საბარგულში თავსდება. ამ ავეჯმა დიდი მოწონება და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. დიზაინერები ამჟერად საკანცელარიო და სასტუმროების მოსაწყობ გარნიტურებს ამუშავებენ. სამეცნიერო ჯგუფი მომავლის ბინების კეთილმოწყობაზე მუშაობს.

ვერცხლისმედალოსანია დიზაინერ გივი მარჯანიშვილის საბავშვო გარნიტური „ნუკრი". ახლა „ნუკრის" ავტორი ქმნის ავეჯს საბავშვო ბაღებისა და სკოლებისათვის. ეს იქნება მოხერხებული, კოპწია ავეჯი, რომელიც ნორჩების ჯანმრთელობას, მათ ფიზიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს, თანაც გემოვნებას აღუზრდის, სილამაზესა და ესთეტიკურობას შეაყვარებს.

სამრეწველო გრაფიკის განყოფილების ხელმძღვანელია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი საურმაგ ლამბაშიძე, ხოლო განყოფილების მთავარი მხატვარია ლამა ქურდიანი. სამრეწველო გრაფიკის დიზაინერებმა დაამშვენეს და გაალამაზეს ქართული პროდუქცია. მათი შთაგონების ნაყოფია მსუბუქი და კვების მრეწველობის, პარფიუმერიის, ქართული ღვინოების, კონიაკების, მინერალური და ხილის წყლების ეთიკეტები, სარეკლამო ფურცლები, ბუკლეტები, პროსპექტები, კატალოგები.

ეროვნული დეკორი, ორნამენტი, ლეგენდა წყაროა, რომელშიც ფერავენ შემოქმედებით ფანტაზიას ქართველი დიზაინერები. აკადემიკოს მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ემბლემისათვის მათ ლეგენდარული ფრინველის — ვარხვის სტილიზებული გამოსახულება გამოიყენეს. ეს ფრინველი გადმოცემის თანახმად ადამიანის პირველი დონორია.

ხალხური რეწვისა და სუვენირების საწარმოო გაერთიანება „სოლანის" საფირმო ნიშანზე გამოხატულია ძლიერებისა და სილამაზის სიმბოლო — ჯიქი.

მუსიკალური საკლავიშო ინსტრუმენტების ფაბრიკის ნიშნისათვის ქართველმა დიზაინერებმა საზღაპრეთიდან ფასკუნჯს მოუხმეს. მისი სტილიზებული გამოსახულება, დაშვებული ფრთებით, კლავიშებიანი ინსტრუმენტის ასოციაციას იწვევს. ქართული დეკორიდანაა აღებული ქუთაისის რძის კომბინატის საფირმო ნიშანი — ძროხა, ძუძუმწოვარა ხბოთი.

სამრეწველო გრაფიკის მხატვარმა-კონსტრუქტორებმა ორიგინალური, თვითმყობადი ნამუშევრებით სახელი და პატივისცემა მოიპოვეს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ მოწყობილ სამრეწველო გამოფენებზე: იზმირში, მონრეალში, პარიზში, ბაზელში, ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მარიკა გვიმრაძე

ელენე დიდიმამიშვილი

## ჩემი ხმა

როცა ახალი გამოდის წიგნი,
და როცა სტამბის გასცდება ზღუდეს, —
ვიცი, ის ჩემგან შორი გზით მიდის
და ხალხის გულში იკეთებს ბუდეს...

როს ჩემი ლექსის სტრიქონებს ფრთა-მალს —
მიაქროლებენ შორით სიონი...
ასე მგონია, ათასი ხმა მაქვს,
და ერთის ნაცვლად ვარ მილიონი!..

როცა ცისფერი ტელევიზორით
ჩემს გულს ქვეყანა ისმენს და ხედავს...
მე მიხარია გზათა სიშორის,
ცა უტკბილესი დამყვება ბედად...

ვგრძნობ ჩემი ლექსის ყველა მიზეზი,
ხმა გულთმიერი, ხმა ერთად-ერთი,
ხან უნაზესი, ხან უმტკიცესი —
ჩემი სიმღერა სამშობლოს ერთვის.

ეთერ ჯღამაძე

## ნითელი ჰიჰები

ლურჯ სივრცეს
ცეცხლს უჩენს
მიწიდან ტიტები,
და მეც, მეც
მათ შუქზე
ვიწვი და ვინთები.
ფიქრები ჩიტებივით
სხივებზე ჩამომსხდარან,
ისეთი უნდა მოხდეს,
რაც დღემდე
არ მომხდარა...
თუმც თავზე
ჯიღად მადგას —
მზეს ჩემად
მაინც ვერ ვთვლი...
და ნიავს
ცისკენ მიაქვს
ყვავილთა
მწველი ფერფლი.

იზა ორჯონიკიძე

## მგზავრის სიმღერა

ვიღაც მადლიანს
აქ დაუდგამს
პატარა სკამი.
გადაფოფრილან
ზედ ცაცხვები,
ჩრდილით ქებული...
ფოთლების ყუნწთან
ჩარჩენილი
ქიქმატი ნამით
დღე ინათლება,
დღე —
მშვიდობით გათენებული.
თითქო ცხადიდან
სამუდამოდ გამოვემგზავრე,
უეცრივ მიწყდა
დამღუპველი,
ცისმარე შფოთი,
თითქო განგების,
რომ მენიშნოს
ჩემი სიზმარი,
ჩამოჯდა ჩიტიც,
ჩამოხარა ქათქათა ტოტი...
მე რომ ჩავივლი,
მთვარიანი იქნება ღამე,
მაშინ შენ ნახე
საქართველოს ზეცა
ნამდვილი!
ვიღაც მადლიანს
მგზავრისათვის
დაუდგამს სკამი...
ცაცხვების ტევრში
ბედნიერი ვიყავ ამ დილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ისინი იბრძოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის

# ნატალია ლელაშვილი და მისი ოჯახი

რევოლუციური ბრძოლების ქარცეცხლში გამოვლილი ლელაშვილების ოჯახი, რომელსაც სათავეში ედგა რევოლუციური იდეებით გამსჭვალული ქალი — ნატალია ლელაშვილი. ნატალია ახალგაზრდა დაქვრივდა და 6 მცირეწლოვანი ბავშვი გასაზრდელი დარჩა. ცხოვრება გაუჭირდა, იძულებული იყო კერძო ოჯახებში შინამოსამსახურეობით ერჩინა ობლები. მოგვიანებით მან ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. აქ 1896 წლიდან დაუახლოვდა სოციალ-დემოკრატიული წრის წევრებს და ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში.

ლელაშვილების ბინა ნაძალადევში რევოლუციონერთა შესაკრებ ადგილად გადაიქცა. აქ თავს იყრიდნენ და სერიოზულ საკითხებს სწყვეტდნენ მუშა-რევოლუციონერები: მიხა ბოჭორიშვილი, გიორგი ჩხეიძე, არაქელა ოქუაშვილი, ზაქარია ჩოდრიშვილი, ვანო სტურუა, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრები; იმართებოდა მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრის მეცადინეობა. ნატალია აქტიურად მონაწილეობდა ორგანიზაციის მუშაობაში. მის ბინაში ინახებოდა არალეგალური ლიტერატურა და საბრძოლო იარაღები.

ნატალიამ შვილები (გიგო, ალექსანდრე, ისაკი, ლუბა და ოლღა) ბავშვობიდანვე ჩააბა რევოლუციურ მოძრაობაში, ისინი დაკავშირებულნი იყვნენ არალეგარულ სტამბებთან, ავრცელებდნენ არალეგარულ ლიტერატურას, კავშირს ამყარებდნენ პოლიტიკურ პატიმრებთან. თავად ნატალიას ბევრჯერ გაუტანია კაბის კალთაში დამალული პროკლამაციები და გაუვრცელებია ქალაქად თუ სოფლად.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ნატალია ლელაშვილი თავის შვილებთან ერთად მონაწილეობდა თბილისის მუშათა გამოსვლებში.

1905 წლის 18 დეკემბერს ნატალიამ რევოლუციურად განწყობილი შეიარაღებული მუშები თავის ბინიდან გაისტუმრა საბრძოლველად.

რევოლუციის დამარცხებამ მასზე ძლიერ იმოქმედა, მაგრამ სულით არ დაცემულა. სწამდა გამარჯვება და ამ რწმენას სხვებსაც უნერგავდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნატალია მენშევიკებისა და რევოლუციის სხვა მტრების წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა. ყველაფერს აკეთებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, მაგრამ გამარჯვებას იგი ვეღარ მოესწრო — გარდაიცვალა 1918 წლის ივლისში. მის დაკრძალვას მრავალი მუშა დაესწრო. ბევრი მათგანი მისი გამოზრდილი და თანამებრძოლი იყო.

სახელოვანი დედის საქმე შვილებმა ღირსეულად გააგრძელეს, ნატალიას უფროსი ვაჟი გიგო 1899 წლიდან იმ სოციალ-დემოკრატიული წრის წევრი იყო, რომელსაც იოსებ ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდა.

1900 წელს გიგომ ვანო ბოლქვაძესა და სხვა ამხანაგებთან ერთად მოაწყო არალეგალური სტამბა ლოტკინის ქუჩაზე აზმაიფარაშვილის სახლში. მას არაერთი არალეგალური სტამბის შექმნასა და არალეგალური ლიტერატურის გავრცელებაში მიუღია მონაწილეობა. გიგო ლელაშვილმა მძიმე რეპრესიები განიცადა მეფის ხელისუფლების დროს.

რევოლუციურ საქმიანობაში მას მხარს უბამდნენ ძმები ალექსანდრე და ისაკი. ისაკი კარაპეტიანის მექანიკურ ქარხანაში მუშაობდა და როგორც სოციალ-დემოკრატიული წრის აქტიური წევრი, ხშირად ხელმძღვანელობდა მუშათა გაფიცვებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას მუშათა შორის, რისთვისაც რამდენჯერმე დაითხოვეს სამუშაოდან.

1902-1904 წლებში ისაკი არალეგალურ სამკითხველოს განაგებდა, ეხმარებოდა არალეგალურ სტამბებში მომუშავე ამხანაგებს, ებარა იარაღების საწყობი, ალავერდის სპილენძის მაღაროდან ჩამოჰქონდა დინამიტი ყუმბარების დასამზადებლად.

თავის ძმებთან — გიგოსა და ალექსანდრესთან ერთად, მან მრავალჯერ მიიღო მონაწილეობა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლებსა და დემონსტრაციებში.

ოლღა და ლუბა ლელაშვილები ჯერ კიდევ მცირეწლოვანნი ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში.

— თუმცა პატარები ვიყავით, — იგონებს ოლღა ლელაშვილი, — მაგრამ უკვე ვიცნობდით ბევრ ხელმძღვანელ ამხანაგს, პარტიულ მუშაკს, ბოლშევიკს, ფხიზლად ვიცავდით არალეგალური კრებების მსვლელობას, ეზოს კარებთან ვიდექით, რომ ვინმე საეჭვო პირი არ შემოგვპაროდა.

1898 წლის გაფიცვების შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამხანაგების უმრავლესობა დააპატიმრეს. ოლღამ მათთან საიდუმლო კავშირი დაამყარა, აწვდიდა მათ ფურცლებს, მოწოდებებს, სხვადასხვა ცნობებს.

ოლღა ცოლად გაჰყვა მუშა რევოლუციონერს, შემდეგში ცნობილ ბოლშევიკს გიორგი ჩხეიძეს, რომელიც ხშირად გადასახლებაში, პატიმრობასა და პოლიციის ზედამხედველობაში იმყოფებოდა, ოლღამ სამი შვილი სანახევროდ ციხის კარზე გამოზარდა.

ოლღა ლელაშვილი-ჩხეიძე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დავალებით ავრცელებდა პროკლამაციებს სოფელ ხოვლესა და დიდ ჯიხაიშში, ზოგჯერ თვითონვე უკითხავდა პროკლამაციებს გლეხობას. ოლღას ბინაზე ინახებოდა პასპორტები, ბლანკები და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბეჭედი.

1902 წელს ოლღამ მუშაობა დაიწყო ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში. იგი ფაბრიკის მუშებს აცნობდა არალეგალურ ლიტერატურას.

ოლღა ლელაშვილმა ბევრი უსამართლობა და გაჭირვება გადაიტანა. 1921 წლის დასაწყისში მენშევიკურმა მთავრობამ იგი დააპატიმრა და ჩასვა მეტეხის ციხეში, საიდანაც გამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ლუბაც უფროსი დის კვალს გაჰყვა. მას ხშირად გადაჰქონდა შიფრი და დაბეჭდილი ფურცლები მიხა ბოჭორიშვილის ბინაში, საიდანაც ისინი იგზავნებოდა ბაქოში, ბათუმში, ვრცელდებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში. მას ავალებდნენ აგრეთვე იარაღის გადატანას, რადგანაც პოლიციას ქალზე ეჭვი ნაკლებად მიჰქონდა. ლუბამ თავისი ცხოვრება დაუკავშირა ცნობილ მუშა რევოლუციონერს გიორგი ნინუას, რომელმაც მრავალი წელი ციხეებსა და გადასახლებაში გაატარა.

1904 წელს ლუბა ლელაშვილი ბათუმში დასახლდა. აქ იგი დაუახლოვდა როტშილდის ქარხნის მუშებს და დაიწყო მუშაობა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ზაქარია ჩოდრიშვილთან, მიხა ბოჭორიშვილთან და სხვებთან ერთად. ჩოდრიშვილმა ლუბა ლელაშვილს გააცნო კატო ავალიანი (შირიაევა). ლუბა და კატო ერთად ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას ჯარისკაცთა და პოლიტიკურ პატიმართა შორის.

1905 წელს ბათუმის ორგანიზაციის დავალებით გიორგი ნინუამ კულაშში (სამტრედიის რაიონი) მოაწყო ყუმბარების ჩამოსხმელი სახელოსნო. ლუბა ყუმბარების ჩამოსხმაში ეხმარებოდა მეუღლეს.

ლუბა ლელაშვილი-ნინუა აქტიურად მონაწილეობდა მუშათა დემონსტრაციებსა და გამოსვლებში. ეხმარებოდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას არალეგალური ლიტერატურის გავრცელებასა და საიდუმლო კრებების მოწვევაში.

ასე იბრძოდნენ ნატალია ლელაშვილი და მისი შვილები მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის.

მარიამ ზაუტაშვილი



# ჩვენი პირველი მასწავლებელი

სოფლის ცენტრში, სამამულო ომში დაღუპული მეომრების პატივსაცემად აგებული ობელისკის გვერდით დგას ორსართულიანი შენობა — ჩვენი სოფლის ყველა ადამიანის საყვარელი სახლი. იგი საყვარელია არა იმიტომ, რომ ყველაზე ლამაზი შენობაა, არამედ იმიტომ, რომ ამ სახლში დაიბადნენ სოფლის საამაყო ადამიანები: აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნინო ჯავახიშვილი, მწერალი თინათინ ჯავახიშვილი, მასწავლებლები ქეთევან და დარეჯან ჯავახიშვილები, მრავალგზის ორდენოსანი ინჟინერი ლაშა ჯავახიშვილი.

ამ ნარკვევის გმირი სოფლის მასწავლებელი ქეთევან ჯავახიშვილია.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა თავისი გამარჯვება იზეიმა და მშვიდობიან შრომას შეუდგა. რევოლუციური საბჭოები თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას მიიჩნევდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ სოფლად სკოლების გახსნას. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მასწავლებლები არ ჰყავდათ და სკოლა უმასწავლებლოდ რას გააკეთებდა?

სწორედ ამ დროს დაამთავრა ქეთევან ჯავახიშვილმა გიმნაზია. სოფლის გულშემატკივარმა ნესტორ ლომიძემ თხოვნით მიმართა ახალგაზრდა ქალს: „წამოდი სოფელში, სკოლის გახსნა გვინდა და მასწავლებელი ვერ გვიშოვია. ბავშვები ისწავლიან, გაიზრდებიან და შენს ამაგს არ დაივიწყებენო".

ქეთევანმა უყოყმანოდ მიიღო გადაწყვეტილება. ნესტორი საკლასო ოთახის შოვნას შეუდგა, მისმა მეზობელმა იაგორ მელქუაშვილმა თავისი ბინიდან ერთი ოთახი დაუთმო სკოლას. მალე მერხებიც მზად იყო და პირველი გაკვეთილი ჩაატარა სოფლის პირველმა მასწავლებელმა სოფელ ძევერაში.

1926 წელს, ოჯახური პირობების გამო, ქეთევანი საცხოვრებლად დროებით ბათუმში გადავიდა და მისი დაწყებული საქმე მისმა დამ — დარეჯან ჯავახიშვილმა განაგრძო. მან სკოლასთან სახელოსნოც გახსნა და ბავშვები სწავლასთან ერთად სხვადასხვა სამუშაოსაც ასრულებდნენ.

1935 წელს ქეთევანი კვლავ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. სწორედ ამ დროს გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. ადვილი არ იყო დღისით ბავშვებთან, ღამით კი მათ მშობლებთან მუშაობა, სიცივეში და მბჟუტავი ლამფის შუქზე, მაგრამ მასწავლებელი თავის მოვალეობას არ ღალატობდა.

როცა 1936 წელს მიღებული იქნა საბჭოთა კონსტიტუცია, ქეთევანი მისი პირველი პროპაგანდისტი იყო. იგი ერთგულად რაზმავდა მშრომელებს, რომ წარმატებით ჩატარებულიყო არჩევნები ახალი კონსტიტუციის საფუძველზე.

ასე ჩაიარა მშვიდობიანმა წლებმა, და დადგა ავადმოსაგონარი 1941. მაშინ ჩვენ ბავშვები ვიყავით და სკოლის დირექტორს — ალექსი თათარაშვილს სკოლის შეკეთებაში ვეხმარებოდით. ჩვენი ვაჟკაცები ფრონტზე, სამშობლოს დასაცავად მიდიოდნენ, ტირილმა და გლოვამ იმატა სოფელში. მრავლდებოდნენ შავკაბიანი და შავთავშლიანი დედები და ცოლები. არმიასა და ფრონტს სურსათი და სანოვაგე სჭირდებოდა.

ქეთევან მასწავლებელს ახალი საზრუნავი გაუჩნდა. მას დაავალეს, რომ ფრონტზე მიმავალთათვის სასწრაფოდ ესწავლებინა რუსული ენა. ომის წლებში ქეთევანი თავმჯდომარეობდა იმ კომიტეტს, რომელიც წითელი არმიისათვის საჩუქრებს აგროვებდა.

მახსოვს 1942 წლის მკაცრი ზამთარი. საკლასო ოთახის ფანჯრები ჩამტვრეული იყო, ღუმელი არ გვენთო, ხელები გვეყინებოდა, მაგრამ საკონტროლო წერა მაინც ჩატარდა. ქარმა ფანჯრიდან ნამქერი შემოყარა და ნაწერზე დაცვივდა, ფიფქები გადნა და სიტყვები წაშალა. ატირდა მასწავლებელი, მაგრამ მაინც ომახიანად შეუძახა იმ ბავშვებს, რომლებიც არ წერდნენ: „არც კი გრცხვენიათ, ჩვენს ძმებსა და მამებს ამ ცივ ზამთარში ცივ შაშხანებზე უკიდიათ ხელი, მტერს ებრძვიან, თქვენ კი კალმის აღება გიჭირთ"! ამ სიტყვებისთანავე ყველამ მოვკიდეთ კალმებს ხელი და წერას შევუდექით.

თავდადებული მუშაობისათვის ქეთევანი დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის" და მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

იგი ახლა პენსიონერია, მაგრამ გული ისევ სოფლის კეთილდღეობისათვის უძგერს. ეხმარება სოფლის ბიბლიოთეკასა და კლუბს კულტმასობრივი მუშაობის გაშლაში. მის სახლში ყოველთვის არიან ახალგაზრდები, რომელთაც ასწავლის რუსულ ენას, აძლევს რჩევა-დარიგებებს.

მის ამაგს არ ივიწყებენ აღზრდილები: პედაგოგები, ინჟინრები, ექიმები, აგრონომები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში მუშაობენ.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, ქეთევან მასწავლებელო, როცა ნამქერმა ჩვენი ნაწერი წაშალა. რა ხანია, ჩვენს სკოლაში ჩამტვრეული ფანჯრებიდან ქარი აღარ ქრის და ღუმელიდან ბოლი აღარ გამოდის. ახლა ჩვენი ბავშვები კეთილმოწყობილ სკოლებში სწავლობენ, სადაც ცენტრალური გათბობაა და პარკეტიც საამოდ პრიალებს.

ბედნიერად ცხოვრობს ჩვენი სოფელი. აქვს კეთილმოწყობილი კლუბი, ამბულატორია, უნივერმაღი, სატელეფონო სადგური. თქვენ კი ჩვენი სოფლის ცოცხალი მატიანე ხართ. თქვენს თვალწინ და თქვენის შემწეობით შეიქმნა ეს ბედნიერი ცხოვრება...

როგორ ჩავატიო ამ პატარა ნარკვევში ის დიდი სიკეთე და აზრი, რომელიც თქვენ შთაგვინერგეთ?

დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერ დღეებს გისურვებთ, ქეთევან მასწავლებელო!

შალვა ჯოლბორდი,
გორის რაიონის სოფელ ძევერის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სევდა

ამ ნარკვევისათვის მასალის ასაღებად ნანი ბრეგვაძესთან შარშან იანვარში მივედი, გასტროლებიდან ახლახან დაბრუნებულიყო. კარი თვითონ გამიღო. შავი მაღალყელიანი სვიტრი ეცვა, გაშლილი შავი თმა მხრებზე ეფინა. რომ დამინახა, გულიანად გამიცინა, ხელი მომხვია და ოთახში შემიყვანა. იქ მისი მეგობრები ისხდნენ. ჩამოვჯექით, ვიმუსაიფეთ ამ მთის, იმ მთის. მერე მასპინძელი კორიდორში გამოვიხმე, ვუთხარი, რისთვისაც ვიყავ მოსული.

შევატყვე, დიდად არ გახარებია. სხვა ოთახში შემიყვანა, იქ ტელევიზორის წინ, დაბალ ტახტზე მისი გოგონა — ეკა იწვა, ავად ყოფილიყო. ჩვენ პატარა მაგიდას მოვუსხედით და ბლოკნოტი გავშალე. ვთხოვე, ცოტა რამ ეამბნა ჩემთვის, ეჩვენებინა რეცენზიები, ფოტოსურათები, წერილები, რომლებსაც, ალბათ, მრავლად იღებს.

რეცენზიები არ აღმოაჩნდა. ვერ ვაგროვებ, თავს ვერ ვაბამო. თაყვანისმცემელთა წერილებით კი კარადის რამდენიმე უჯრა ჰქონდა პირთამდე სავსე. უხალისოდ დამიწყო ფაქტებისა და თარიღების ჩამოთვლა. ორიოდე წინადადების ჩაწერაც ვერ მოვასწარი, რომ კარზე ზარმა დარეკა. წამოხტა და შემოსასვლელისაკენ გაიქცა. მალე იქიდან მისი სიცილი მომესმა. ვიღაცეებს კოცნიდა და ესალმებოდა. როცა ეს სტუმრებიც დააბინავა, შემობრუნდა, მომიბოდიშა და ის-ის იყო, კალამი მოვიმარჯვე, რომ ტელეფონმა დარეკა.

იმ საღამოს ბარე ათჯერ დარეკა ტელეფონმა და ხუთჯერ მაინც კარზე ზარმა. სულ მალე სამივე ოთახში და სამზარეულოში ნანის მეგობარ-მოკეთეები ისხდნენ. ისიც გადადიოდა ოთახიდან ოთახში, ლაპარაკობდა ტელეფონით, წამდაუწუმ შემოირბენდა, ჩაიმუხლებდა ეკას ლოგინთან, შუბლზე ტუჩებს ადებდა და ეალერსებოდა.

თერთმეტი საათისათვის სტუმრები წავიდნენ, ტელეფონიც დადუმდა და ნანი ჩვენ დაგვიბრუნდა. დაღლილი და ფერგამკრთალი ჩანდა. აღარაფერი მიკითხავს. ვისხედით ჩუმად. სწორედ ამ დროს დაიწყო სატელევიზიო გადაცემა — „და ის, ვინც გატკბობდა" — ორმოციანი წლების მომღერლებზე.

ნანის გაეხარდა, შუქი გამორთო, ეკას საბანი გადაუწია და ტახტზე ფეხმორთხმით ჩამოჯდა. გადაცემის დროს დროდადრო გადმომხედავდა — ხომ დიდებულია, არა? — მეკითხებოდა.

როცა თამარ წერეთლის ფირი ჩართეს (თამარი ახლახან იყო გარდაცვლილი), ნანის ჩემსკენ აღარ გამოუხედავს. მე კი თვითონ მას თვალს ვერ ვაცილებდი. ცისფერი შუქი ეფინა შავი თმის ვარაყშემოვლებულ მისი სახის თითქოს სკულპტურულ ნაკვთებს, იჯდა გამართული, გაუნძრევლად და არ ვიცი, მომეჩვენა თუ მართლა, თვალის უპეები სველი ჰქონდა.

უკვე გვიან იყო. ფანჯარაში დაცარიელებული მარჯანიშვილის მოედანი ჩანდა. ცივად ანათებდა რეკლამის აბრები, ქარი არხევდა გაძარცვულ ხეებს. გამოთხოვებისას, კარებთან ვკითხე, რას გრძნობ, ხოლმე, როცა თამარ წერეთელს და ქეთო ჯაფარიძეს გადარებენ-მეთქი. ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს უდიდესი მკრეხელობა ჩამედინოს. გამოვეთხოვე და შეხვედრა უახლოეს დღეებისთვის დავთქვით.

ორიოდე დღის შემდეგ დავურეკე. მითხრა, კინოსტუდიაში გავრბივარ — „წყალდიდობისთვის" სიმღერა უნდა ჩავწეროო, მეორე დღეს ტელევიზიაში უღებდნენ, მერე „მოსფილმში" გაემგზავრა, რომ კომპოზიტორ პონომარენკოსადმი მიძღვნილ ფილმში მისი რომანსი ემღერა. მგონი იქიდანვე გაემგზავრა საგასტროლოდ.

მის დევნაში ლამის წელიწადი ჩამელია ხელში. რა უნდა მექნა? გადავწყვიტე უმისოდ დამეწერა ნარკვევი. მითუმეტეს, რომ მისმა ბავშვობამ და ქალიშვილობამ ჩემს თვალწინ გაიარა, კარგად მახსოვს მისი პირველი ნაბიჯებიც ესტრადაზე. დღევანდელ წარმატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებზე კი, სულერთია, ვერაფერს ვაამბობინებდი — არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი. ის კი არა, ქათინაურს რომ ეტყვიან, ცდილობს ისიც ოხუნჯობაში გაატაროს. ამას მისი საოცარი მორიდებით თუ ახსნი, თორემ არ შეიძლება, არ იცოდეს საკუთარი თავის ფასი...

ბავშვობაში მე მას ხშირად ვხედავდი ჭავჭავაძის ქუჩის დაღმართზე. მაღალ, კნაჭა ფეხებზე იდგა, ხელში ნოტების აბგა ეკავა. იურიბად გაჭრილი დიდი თვალები ჰქონდა, რომლებიც საოცარ კონტრასტს ჰქმნიდნენ მის ფერმკრთალ ბავშვურ სახესთან. იმ უბანში ყველამ იცოდა, რომ გოგონას ნანი ერქვა, შესანიშნავად უკრავდა და მღეროდა, და ეს ბუნებრივად მიაჩნდათ, რადგან იცოდნენ, რომ მის ოჯახში ყველა მღეროდა: დედა, ხუთი დეიდა — მიქელაძის ქალები და მრავალრიცხოვანი ნათესავები. ასე რომ, ყოველი სუფრის გაშლა ამ ოჯახში დიდ კონცერტად გადაიქცეოდა ხოლმე, სადაც ყველას შეეძლო სოლისტობა გაეწია.

სულ პატარა იყო, სიმღერას რომ წამოუწყებდნენ — „აბა, ნანი, მეორე მითხარი“. ექვსი-შვიდი წლისა უკვე რთულ რომანსებს მღეროდა.

მუსიკალურ სასწავლებელში ბეჯითად სწავლობდა, წარჩინებით ჩააბარა მისაღები გამოცდები კონსერვატორიაში. მე მომისმენია მის მიერ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შესრულებული საფორტეპიანო კონცერტი და მწამს, მისგან კარგი პიანისტი დადგებოდა, .მაგრამ... :

თუ მართალია ის ამბავი, რომ ამ ქვეყნად ყველა ადამიანი რაღაცისთვის იბადება; მაშინ ნანი ბრეგვაძე სიმღერისთვის ყოფილა გაჩენილი. სიმღერა არის მისთვის ამ სამყაროს თავი და ბოლო, მისი სიცოცხლის არსი, მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

მე რომ გავიცანი, უკვე კონსერვატორიის სტუდენტი იყო. ერთ წვეულებაზე შევხვდი. დაგვიანებით მოვიდა. ისეთი შეძახილებით შეხვდნენ, ისე წამოცვივდა ფეხზე ყველა, რომ მივხვდი — ის ამ საღამოს დედოფალი უნდა ყოფილიყო. მას შესციცინებდნენ, ისიც ალერსიანად ეხუმრებოდა ყველას, გულლიად იცინოდა, ოხუნჯობდა, ცეკვავდა და არაფრით გამოირჩეოდა სხვა იქ მყოფი ქალიშვილებისაგან.

სუფრას რომ მივუსხედით, გიტარა მიაწოდეს. პირველი აკორდები აიღო და რაღაც დაემართა მის სახეს. ჩემს წინ სხვა ქალი იჯდა — წარბები შეჭყარა, თვალები კიდევ უფრო ჩაუმუქდა და ჩაუნაღვლიანდა. ის ჩვენს შორის იჯდა, მაგრამ ჩვენთან აღარ იყო...

გვერდით დეიდაშვილები უსხდნენ — ცისანა, მარიკა და ივიკო საყვარელიძეები. გიტარა ხელიდან ხელში გადადიოდა. ახლაც მახსოვს:

„ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში,
თუ არ ჩამაყოლე იასამნები...“

დაუვიწყარი ღამე იყო. არ გაგვიგია, ისე დაგვათენდა. სიმღერების მდინარე გადაგვდიოდა თავზე, სიმღერების ნირვანაში ვცურავდით, ვუსმენდით საოცარ იმპროვიზაციებს, რომლებიც იქვე, იმ წუთში იბადებოდნენ. ბოშური, რუსული და ქართული რომანსები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. მაგრამ განსაკუთრებით საამო სასმენი იყო ის სამხმიანი სიმღერები, რომლებსაც ასე დიდებულად მღეროდნენ იმერეთში ჯერ კიდევ ვარინკა წერეთლის დროს, შემდეგ ასეთი ეშხითა და მგზნებარებით ასრულებდნენ დები იშხნელები და ვინ მოსთვლის, რამდენი დარბაისელი ქართველი მანდილოსანი, რომელნიც ისე გადავიდნენ, რომ ხელიხელსაგოგმანებელი მათი სიმღერები და თვით მათი სახელებიც ფართო საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა.

არ ვიცი, რა ბედნიერ შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ნანის ნიჭიც მხოლოდ სალონებში სასიმღეროდ არ გაიხარჯა, რომ მან, ჯერ კიდევ მუსიკალური ტექნიკუმის მოსწავლემ, ყველას, და პირველ რიგში თავისდა გასაოცრად, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის მიწვევა მიიღო და მოსკოვში, მსოფლიო ახალგაზრდობის VI ფესტივალზე გაემგზავრა.

იქიდან ლაურეატის წოდებით დაგვიბრუნდა. გაზეთებმა მრავალი ხოტბა უძღვნეს ახალბედა მსახიობის გულში ჩამწვდომ ხმას, მის ფაქიზ ლირიზმს და გულწრფელობას. უკვე მაშინ ბევრმა მიაქცია ყურადღება ნანის ნიჭის თავისთავადობას, რაც შემდეგ წლების განმავლობაში კიდევ უფრო ჩამოყალიბდა, გამოიკვეთა და დაიხვეწა.

სულ მალე ნანი „რერომ“ მიიწვია და ის ხანგრძლივ საგასტროლო ტურნეებს შეუდგა. ჩვენს ქალაქში ახლა მას იშვიათადღა ვხედავდით, მაგრამ მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა. მისი ხმა ხშირად გაისმოდა რადიო და ტელეკონცერტებში, საკავშირო ფირმა „მელოდია“ მის ფირფიტებს გამოსცემდა. ერთი სიტყვით, საესტრადო კაბადონზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა.

სწორედ იმ დროს მიიპატიჟა ცნობილმა ფრანგმა ანტრეპრენერმა — კოკოტრიქსმა საბჭოთა საესტრადო კოლექტივი და ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კულტურის მესვეურნი დიდი გულისყურით შეუდგნენ ე. წ. „მოსკოვის მუზიკ-ჰოლისათვის“ მსახიობების შერჩევას. და უკვე მოულოდნელი არავისთვის იყო, რომ საესტრადო სიმღერებისა და რომანსების შემსრულებელთაგან არჩევანი ნანი ბრეგვაძეზე შეაჩერეს.

ასე დაიწყო მისი ნახევარწლიანი გამოსვლები „ოლიმპიაში“, პარიზის სახელგანთქმულ საკონცერტო დარბაზში, საიდანაც მსოფლიო ესტრადის მრავალი ვარსკვლავი ამობრწყინებულა.

„მუზიკ-ჰოლთან“ ერთად ნანიმ კიდევ ორი ტურნე ჩაატარა, მოიარა ბელგია, შვეიცარია და კანადა. საზღვარგარეთიდან რომ დაბრუნდა, ხმა გავარდა — „ორერაში“ მიიწვიესო და მალე „ორერას“ საკონცერტო აფიშებზეც გაჩნდა მისი გვარი.

დიდი გაჭირვებით ვიშოვნეთ ბილეთები პირველ კონცერტზე (აქ კონცერტის შემდეგ ისეთი აჟიოტაჟი შეიქმნა, რომ ძერჟინსკის კლუბის კართან გაძლიერებული დაცვა დააყენეს, რომ გახელებულ მუსიკის მოყვარულთ იერიშით არ აეღოთ შენობა).

კონცერტის წინადღით ნანის დავურეკე. მის ხმაში შეშფოთება ვიგრძენი და მიზეზი ვკითხე. ვერ წარმოიდგენ, როგორ ვღელავო, მითხრა. გამეცინა: „ოლიმპიაში“ გამოდიოდი ედიტ პიაფის და შარლ აზნავურის მსმენელების წინაშე და ახლა შენს მშობლიურ ქალაქში გამოსვლა გაშინებს-მეთქი? ერთხანს ჩუმად იყო, მერე მითხრა: „იცი, არსად არ ვგრძნობ ისეთ შიშს, როგორც აქ, თბილისელი მაყურებლის წინაშე“.

ის საღამოები ძერჟინსკის კლუბში „ორერას“ ტრიუმფად იქცა. ოვაციებს, გამოძახებებს ბოლო არ ჰქონდა. ზეიმურად შემოიყვანეს სცენაზე „ორერას“ ვაჟებმა თავისი ახალი სოლისტი და შემდეგ ყოველ მის გამოსვლას ისე ეგებებოდნენ, როგორც დედოფლის საზეიმო გამობრძანებას.

ნანის გულშემატკივრებს, ვისაც აღრე მიაჩნდა, რომ ნანი ესტრადაზე მთელი თავისი შესაძლებლობით არ მღეროდა, ახლა სიხარულის წუთები დაუდგათ: როგორი გაზრდილი ეჩვენა ყველას, რა ლაღად მოედინებოდა მისი გაშლილი ხმა, როგორ გაიზარდა მისი დიაპაზონი, რა სცენური მომხიბვლელობით იყო შემკული, რა ელეგანტური და დახვეწილი! როგორ მიესადაგა ამ ანსამბლს, ანსამბლს, რომლის ინტელიგენტურობას ყველგან ხაზს უსვამენ, ნანის ქალური კდემა!

გასული წლის ზაფხულში „ორერამ“ თავისი ათი წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტები გამართა ფილარმონიის ახალ შენობაში. ეს იყო ერთგვარი შემოქმედებითი მუშაობის ანგარიში იმ მაყურებლის წინაშე, რომელიც თითქმის მთელი თვის განმავლობაში წარმოუდგენელი ერთგულებით ავსებდა ვეებერთელა საკონცერტო დარბაზს.

შეუძლებელია გადაჭარბებით შეაფასო „ორერას“ როლი ქართული ესტრადის განვითარებაში. ამ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლზე პრესაში იმდენი დაიწერა, რომ კიდევ რაიმეს დამატება შეუძლებელია, უკვე საკამათო აღარ არის, რომ „ორერა“ დღეს ტონს აძლევს საბჭოთა ესტრადას. ამ ანსამბლის ნოვატორულმა ძიებებმა ნამდვილი რეფორმა მოახდინა ქართული ესტრადის სამყაროში, სტიმული მისცა ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედებით ფანტაზიას და ყველანი ვართ იმის მოწმე, როგორ არნახულად გამდიდრდა ქართული საესტრადო რეპერტუარი ამ ბოლო წლებში.

ნანიმ „ორერაში“ თავისი ლირიკული მშვენიერება შეიტანა. ახლაც ვხედავ: აშოლტილი, სიმღერით მომართული დგას უზარმაზარ სცენაზე ქერუბინისფერ კაბაში, ვიწრო წელზე და სამაჯურებზე ვერცხლისფერი ბალთები აბნევია, ხელში მიკროფონი უჭირავს, თავისუფალი ხელი წინ აღუმართია, თითქოს გასაფრენადაა მომზადებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მღერის სიყვარულზე, ერთგულებაზე, ბედნიერებაზე და ყოველი მისი სიმღერა დამთავრებული ვოკალურ-დრამატული მინიატურაა. ღონივრად და მგზნებარედ მიჰყავს ძველებური რუსული რომანსის მოქნილი მელოდია, აღსავსე დრამატიზმითა და დინამიური კონტრასტებით. მაგრამ მისი სიმღერის დრამატიზმს არაფერი აქვს საერთო იმ ყალბ დრამატიზმთან, იმ სენტიმენტალობასთან, რომლითაც ზოგჯერ სრულდება ბოშური და ძველებური რუსული რომანსები. ნანის სიმღერის მანერა თავშეკავებულია, იმიტომ კი არა, რომ ვნებათა ქარტეხილები დაცხრა, არამედ იმიტომ, რომ მათ ჩვენი თანამედროვე, მეოცე საუკუნის ქალი მღერის. მღერის გარეგნული თავშეკავებით, კეთილშობილი სისადავით.

მე რომ მკითხოთ, კეთილშობილება და სისადავეა ნანის ხელოვნების პირველი ნიშანი. შეუძლებელია წარმოიდგინოთ მისი სცენაზე ხტუნვა და ტაშისცემა, შეუძლებელია, რომ მან მისამღერად მოუხმოს აუდიტორიას. არა, ეს იაფი ფანდები უცხოა მისთვის.

ან კი რად სჭირდება? ის სიმღერას იწყებს და პირველივე ფრაზიდან აუდიტორია მხოლოდ მისით სულდგმულობს, მასთან ერთად ხარობს, ნაღვლიანობს, ეჭვიანობს, იმედიანობს...

ყველას ჰყავს თავისი საყვარელი მომღერალი. ყველას თავისი მომღერალი რაღაცით უყვარს. ნანის თაყვანისმცემელთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მისი ამპლუა ძველებური რომანსებია და წერილობით თუ პირადად დაჟინებით ურჩევენ, მხოლოდ აქეთ მიმართოს თავისი საშემსრულებლო ნიჭი. ამათ კარგად ახსოვთ, რა ფენომენალური წარმატებით გამოდიოდნენ ორი-სამი ათეული წლის წინ საკავშირო ესტრადაზე თამარ წერეთელი და ქეთო ჯაფარიძე. ეს ორი მომღერალი გაღმერთებული ჰყავდათ ლენინგრადსა და მოსკოვში. ახლა მათი გზის განმგრძობად ნანის მიიჩნევენ.

მართლაც, ჩინებულად მღერის ნანი ძველ რომანსებს. ვინ მოსთვლის, რამდენი სულის ჭიშკარი შეაღო მან თავისი რომანსებით — „ჭიშკარით“, „გრძელი გზითა“ და „სიხარულით“.

მაგრამ, ღმერთმა დაიფაროს, რომ მისი რეპერტუარი მხოლოდ ძველი რომანსებით შემოიფარგლოს! როგორ არ უნდა ემღერა მას ბიძინა კვერნაძის სიმღერები კინოფილმში — „შეხვედრა მთაში?“

ან, წარმოგიდგენიათ, ქართული ესტრადა გიორგი ცაბაძის სამი რომანსის გარეშე? „სად იყავი?“, „ნეტავ, მართლა გყვარებოდი“ და „ხელოვნება“ ხომ კომპოზიტორმა ნანისათვის დაწერა. ვინ გადმოსცემდა ამ სიმღერების ამაღლებულ პოეტურ ლირიზმს ასეთი მხატვრული სრულყოფილებით?

სწორედ თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში გამოვლინდა ნანის ნიჭის ეროვნული თავისთავადობა.

განუმეორებელი ლირიკული მშვენიერებით მღერის ის ვაჟა აზარაშვილის „ხევსურულ ბალადას“, უდიდესი ექსპრესიით — გალაკტიონ ტაბიძის ტექსტზე დაწერილ სიმღერას — „არ ვარ ობოლი“.

მის სასიმღერო რეპერტუარში მრავლად არის უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, რომელთაც ნანი მართლა დიდებულად ასრულებს, რადგან ამ შემთხვევაში მისი პირველმიზანია სწორედ გადმოსცეს სიმღერის ეროვნული სული. მარტო მისი ნამღერი „ავე მარია“ და ჩარლი ჩაპლინის „ჩემი სიმღერა“ რად ღირს!

რა მგზნებარედ, უნისონში ჟღერს მისი და რობერტ ბარძიმაშვილის თურქული, ბერძნული თუ ბულგარული სიმღერების დუეტი:

მაგრამ სულაც რომ არაფერი ემღერა ნანის, რევაზ ლაღიძის ორი სიმღერის გარდა, მჯერა: მისი სახელი მაინც დარჩებოდა. მახსოვს, რა სუნთქვაშეკრული უსმენდა მას სპორტის სასახლის შვიდიათასიანი აუდიტორია, საქართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო გამართულ გრანდიოზულ კონცერტზე. ნანი სცენაზე არ გამოსულა, მისი „სიმღერა ვაზზე“ კახური რთველობის კინოკადრებს მიჰყვებოდა. არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩვენი მაშინდელი განწყობილება. თითქოს მომღერალის ახალ დაბადებას ვესწრებოდით! ამ სიმღერამ გამოავლინა, რა ორგანული ყოფილა ნანის ბუნებისთვის პათოსი და ღრმა დრამატული განცდები.

ნანის შთაგონებულმა სიმღერამ უთუოდ შეუწყო ხელი სატელევიზიო ფილმის — „შორია გურჯისტანამდე“ — წარმატებას (ამ ფილმს გასულ წელს რუსთაველის პრემია მიენიჭა). რა შემძვრელია მისი ბოლო კადრები, ოპერატორის მიერ მოწყვეტით, მოულოდნელად მოახლოვებული სახეები: გაშლილი ქართული შუბლი, ქართული თვალები და მათში ჩანისლული კაეშანი საქართველოსთვის.

ნანი ამ სურათშიც კადრს მიღმა მღერის. მისი სიმღერა დაჭრილი სულის კვნესაა, გოდებაა დაკარგულ სამშობლოსა და თვისტომებზე. რა ცლიერად, რა სასოწარკვეთილებით რეკავს მისი ხმა მაღალ რეგისტრში!

მკაფიოდ, საოცარი სიფაქიზით გადმოსცემს ნანი სიმღერის პოეტურ ტექსტს. „სიმღერას ვაზზე“ ის ისე მღერის, თითქოს სიტყვები კი არა, მართლა ლალი და ალმასი ცვივა ბაგეთაგან. მას შეუძლია ისე იმღეროს, რომ ყველაზე გაცვეთილი, ტრივიალური განცდებიც პირველი აღსარების სიტყვებად მოგაჩვენოს.

აი, ამის საშუალებას აძლევს მდიდარი ტემბრის კარგად დამუშავებული ხმა, რომელსაც მშვენივრად ფლობს, იშვიათი მუსიკალური სმენა (ო, როგორ უკრავს!), სიმღერის დიდი კულტურა და კიდევ რაღაც, რაც არავითარ განსაზღვრას არ ექვემდებარება, რაღაც ისეთი, რაც განაპირობებს მის სრულიად განსაკუთრებულ საშემსრულებლო მანერას.

ყველა მსმენელს თავისი მომღერალი რაღაცით უყვარს. მე ნანის სიმღერის სევდა მიყვარს, სევდა, რომელიც მშვენიერებასთან შეხვედრით იბადება. ნათელი, გამჭვირვალე სევდა, თვით უდიდესი სიხარულის წუთებშიც რომ გვეწვევა ხოლმე და სულს ტკბილ-მწარე ნაღველით გვივსებს. როგორ სიმღერასაც არ უნდა ასრულებდეს ნანი — საბედნიეროს, სამხიარულოს თუ სახუმაროს — მაინც სევდა ისმის მისი ხმის ტემბრში, სევდაჩამდგარია მისი მშვენიერი თვალები.

ერთხელ გიორგი ცაბაძემ მითხრა:

— კომპოზიტორმა უნდა იოცნებოს ასეთ შემსრულებელზე. ნანი ხომ თვითმყოფადი ტალანტია! ზოგჯერ, შეთხზავ სიმღერას, სანოტო ქაღალდზე გადაიტან მელოდიას, ტაქტებად დაჰყოფ. თითქოს, ყველაფერი სწორია, ყველაფერი ადგილზეა და სიმღერა მაინც არ არის, არ გამოდის და რა გინდა რომ ჰქნა! ჰოდა, ამ სიმღერას ნანის რომ მისცემ სამღერლად, მუშაობის პროცესში, თითქოს რაღაც თილისმით, ან რომელიმე ბგერას შეამოკლებს, ან სადღაც ინტონაციურ მახვილს დაუსვამს და გესმის — სიმღერა ამღერდა...

რევაზ ლაღიძემ კი უბრალოდ მითხრა:

— რა შეიძლება კაცმა ნანიზე სთქვას? ნანი ხომ სიმღერის გენიაა... განა შეიძლება რაიმე სიტყვებით გამოჰხატო, როგორ მღერის ბულბული?..

როცა ეს წერილი დასაბეჭდად ჩავაბარე, ნანი ინდოეთში იყო საგასტროლოდ. დედამისს დავურეკე და ნანის სურათი ვთხოვე: მოდი, შენ თვითონ ამოარჩიეო, მითხრა, გამომიტანა კარადის უჯრები, პირთამდე ავსებული ფოტოსურათებით, ბარათებით, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი რეცენზიებით (თუ რამე მოვახელთებ, ამოვჭრი და ვინახავო, — მითხრა ქალბატონმა ცაბუმ). მერე კარი გაიხურა და მარტო დამტოვა.

დაღამებამდე ვფურცლავდი და ვარჩევდი მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდებს. ბოლო უჯრა რომ ამოვყარე, ვიწრო ბაფთით განასკვული დიდი შეკვრა გადმოვარდა. ეს რა არის-მეთქი? — გავედი ნანის დედასთან.

— ეგ რომანსები შარშანწინ ნანის თამარ წერეთელმა გამოუგზავნა, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, — მითხრა მან. — სულ უნიკალური ნოტებია, ზოგი დიდი ხნის წინ გამოცემული, ზოგიც — მისი ხელით გადაწერილი.

თითქოს გულში რაღაცამ ჩამკრა. გამახსენდა, როგორ ვისხედით, აგერ იმ ოთახში ერთი წლის წინ და თამარ წერეთლის სიმღერას ვუსმენდით. თითქოს ცხადლივ დავინახე ცისფერი შუქით განათებული ნანის სახე და მისი სველი თვალის უპეები.

ოთახში შემოვბრუნდი, გულისძგერით შევხსენი ბაფთი და მოვაცალე ზემოდან შემოკრული ფურცელი. ნოტების დასტის ზემოთ იდო პროზოროვსკის რომანსი — „დამიბრუნდი“. მის გარეკანზე თამარ წერეთლის ახალგაზრდობისდროინდელი პროფილი იყო დაბეჭდილი, არეზე კი წარწერა ჰქონდა: „ქართული ესტრადის დედოფალს — ნანი ბრეგვაძეს თამარ წერეთლისაგან“.

ნანული ბარათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო ნაკაშიძე



ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელს — ნინო ნაკაშიძეს დაბადების 100 წელი შეუსრულდა. მან თავისი მრავალფეროვანი ლიტერატურული ცხოვრების გზის დიდი ნაწილი ნორჩი თაობის აღზრდას მიუძღვნა, რითაც წარუშლელი კვალი დატოვა მე-20 საუკუნის ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში.

მწერალი ქალი ნინო ანთაძე-ნაკაშიძისა დაიბადა 1872 წლის 14 იანვარს, გურიის ლამაზ სოფელ ბახვში. აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება, შემდეგ ოზურგეთის ორკლასიან სასწავლებელში განაგრძო სწავლა. იმ დროს იქ მასწავლებლად მუშაობდა საზოგადო მოღვაწე და მწერალი მარიამ ივანოვა-დემურია.

1894 წელს ნინომ თავისი მომავალი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ილია ნაკაშიძეს. შეუღლების დღიდან ისინი პეტერბურგში გაემგზავრნენ. ამ დროისათვის ისინი ეცნობიან და უმეგობრდებიან დიდ რუს მწერალს ლევ ტოლსტოის.

1903 წელს ნაკაშიძეები სამშობლოში დაბრუნდნენ და მაშინვე საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაებნენ.

1904 წელს თბილისში დაარსდა ქართული საბავშვო ჟურნალი „ნაკადული", რომლის რედაქტორად დაინიშნა ნინოს ყოფილი მასწავლებელი მარიამ დემურია.

ჟურნალ „ნაკადულის" ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე ნინო ნაკაშიძეს თავისი წვლილი შეჰქონდა რედაქციის მუშაობაში. იგი მუდამ მხარში edga თავის უსაყვარლეს პედაგოგს და ჟურნალის რედაქტორს მარიამ დემურიას. სწორედ „ნაკადულში" დაბეჭდა ნინომ თავისი პირველი მოთხრობა „ნამდვილი სიხარული", აქ დაუხატა ბავშვებს თვითმპყრობელური მთავრობის სასტიკი თარეში.

1905 წლის გურიის გლეხთა აჯანყების გამო, ნინო ნაკაშიძემ, როგორც ძალზე „საეჭვო", და „საშიშმა" პირმა, რეპრესია განიცადა: დააპატიმრეს და ვიატსკის გუბერნიაში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ იგი მეგობრებმა იხსნეს. ნინო ნაკაშიძე ისევ საზოგადოებრივ შემოქმედებით მუშაობას დაუბრუნდა, მონაწილეობდა საკვირაო სკოლებისა და სახალხო თეატრის საქმიანობაში.

მარიამ დემურიას გარდაცვალების შემდეგ, 1910 წლიდან, ნინო ნაკაშიძე სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „ნაკადულს" და ჩვეული ენერგიით განაგრძო რთული, საპასუხისმგებლო სარედაქტორო მუშაობა. მან რედაქციის ირგვლივ მჭიდროდ შემოიკრიბა გამოჩენილ ქართველ მწერალთა ბრწყინვალე პლეადა: ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, შიო მღვიმელი, ირ. ევდოშვილი, ნოე ჩხიკვაძე, ნ. ლომოური, ცქვიტი, ვაჟა-ფშაველას ძმები — თედო და ბაჩანა რაზიკაშვილები.

1918 წელს, ნინო ნაკაშიძის ინიციატივით დაარსდა საბავშვო სახლი მესხეთ-ჯავახეთის მხრიდან გადმოხვეწილი, უპატრონოდ და უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვების აღსაზრდელად. ნინო ნაკაშიძე „ნაკადულის" ფურცლებიდან ესაუბრებოდა თავის პატარა ქართველ მკითხველებს უდედმამოდ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ბავშვთა მძიმე მდგომარეობის შესახებ, იბრძოდა მათი პირობების გასაუმჯობესებლად.

1918-1919 წლებში, ჟურნალ „ნაკადულს" ძალზე გაუჭირდა, მაგრამ მისი მაჯისცემა წუთითაც არ შენელებულა, მას სათავეში ედგა ქართული ეროვნული კულტურის გამოცდილი ქომაგი, სანდო პატრონი და მოამაგე ნინო ნაკაშიძე, რომელმაც „ნაკადული" თავისი შინაარსით უმწიკვლოდ დაახვედრა საქართველოში დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ნინო ნაკაშიძე მიიწვიეს საქართველო-კავკასია-რუსეთის დეპეშათა სააგენტოში, მას დაევალა ქართული საბავშვო ლიტერატურისა და ქართველი ბავშვების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის დიდი და საპატიო საქმე.

1921 წლიდან იგი სოციალისტური აღზრდის მთავარი სამმართველოს მხატვრული ლიტერატურის სექტორის გამგედ დაინიშნა. ნინო ნაკაშიძე იყო პირველი ქართული საბავშვო თეატრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი.

1936 წელს ნინოს უშუალო თაოსნობით მოსკოვში მოეწყო ქართული საბავშვო ლიტერატურის გამოფენა.

1928 წელს ჩამოყალიბდა ახალი საბჭოთა ქართული საბავშვო ჟურნალები: „დილა", „პიონერი" და გაზეთი „ნორჩი ლენინელი". ნინო ნაკაშიძე ამ ჟურნალების კოლეგიის უხუცეს წევრად ითვლებოდა. მათ ფურცლებზე დაიწყო ნინო ნაკაშიძემ ახალი ეპოქის — საბჭოთა პერიოდის შესანიშნავი საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების ბეჭდვა.

1936-1939 წლებში „სახელგამმა" დაბეჭდა მისი საბავშვო ნაწარმოებები: „ულუ და თეთ", „რთველი", პიესა „ჩვენ გავიმარჯვებთ".

ნინო ნაკაშიძემ შეაგროვა და გადაამუშავა ხალხური ზღაპრები და ანდაზები. ნინოს კალამს ეკუთვნის შესანიშნავი პიესა „ვინ არის დამნაშავე?" და ბევრი ნიჭიერად და დიდი სიმართლით დაწერილი მოთხრობა.

ნინო ნაკაშიძემ თავისი შინარსიანი, დიდი ცხოვრება ხალხის კეთილდღეობას, მისი უკეთესი მერმისისათვის ბრძოლასა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეს შეალია. მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ნინო ნაკაშიძის ამაგს.

ეთერ მაჭავარიანი

## პატარებისათვის

მერი ფიჩხაძე

### ლია და ია

პატარა ლია პირველად წაიყვანეს დედულეთში. იგი ყველაფერს გაკვირვებული შეჰყურებდა. დედას მოსვენებას არ აძლევდა, და რასაც დაინახავდა, ეკითხებოდა: ეს რა არისო?

საღამოს დედამ ბავშვი სოფლის გარეთ გაასეირნა. მინდორში პაწაწინა ლურჯმა ყვავილებმა მოხიბლა. დედამ გოგონას ყვავილების კონა შეუკრა და დასძინა:

— ამ ყვავილებს ია ჰქვია.

— ეს იაა, მე კი ლია! — იმეორებდა ლია და ყვავილებს ნაზად უსვამდა ხელს.

ნუნუ კერესელიძე

### სამი სიმღერა

ჩემს ბუდეში, პაწია
სამი კვერცხი აწყვია.
იქით ქარო, ბერქარო,
ახლოს არ გაგვეკარო,
გაიარე ფრთხილად!
ჩემს პატარა ბინაში,
ბუმბულსა და თივაში,
სამ სიმღერას სძინავს.

გული ზუხბა

### მონადირეები

ბროლია, ჩემო ბროლია
არ დამიფეთო შველი,
თუ მონადირედ ვარგიხარ,
წამო, შევკოჭოთ მგელი.

### ჩემო პატარა მერცხალო

ჩემო პატარა მერცხალო,
მასწავლე შენი ენა,
რაკი შენს ჭიკჭიკს ვისწავლი —
იქნებ, შევიძლო ფრენაც.

ნელი დარსაველიძე

### მზეწვიმა

მზეწვიმაა, ჭიტა მზეო,
პირს იბან და ბრწყინავ, ნაზო.
მე რომ ვიბან, რად დამცინი:
ბანი უნდა მტირალასო?
კარგად ვიცი, ცხრათვალა ხარ,
არ იფიქრო, რომ ვერ ვხვდები.
პირს რომ იბან, ორს თუ ხუჭავ,
შვიდი თვალით იხედები.

ნიკოლოზ კლდიაშვილი

### გამოცანა

უხილავმა ოსტატმა
ხიდი გასდო კრიალა,
ხიდი წყლისგან აგო —
რკინისაგან კი არა!

(ყინული)



ნანა კანდელაკი

# სხვისი ქალი...

მოთხრობა

სახლი, რომელშიც ესმა ცხოვრობდა, ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლოს იდგა, სამსახურს საკმაოდ მოშორებული, მაგრამ ესმას სულაც არ ეშორებოდა აქ სიარული. პირიქით, ბავშვივით მოუხაროდა შინ მისვლა. იზიდავდა თავისი ოთახის სიმყუდროვე, საოცარი სიჩუმე და ყვავილები.

ტროლეიბუსის გაჩერებაზეც უხაროდა მისვლა.

იქ ყოველ დილით, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე ადამიანები ხვდებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის ერთი ახალგაზრდა ერია. ესმა გრძნობდა, ვაჟს არ დარჩა შეუმჩნეველი და მოსწონდა ეს ფარული თამაში.

ერთხელ ესმამ ვაჟთან ბავშვობის მეგობარი დაინახა. გაუხარდა მათიკოს ნახვა, ველარ მოითმინა და შეეხმაურა:

— შენ აქ საიდან, მათიკო?

— აგერ, მეხუთე სახლში ვცხოვრობ. რაო, შენც აქ დასახლდი?

— ჰო, ერთი თვეა, რაც გადმოვედი. პირდაპირ სახლს ხომ ხედავ? იქ ვცხოვრობ.

— გესტუმრებით მე და დუტუ, შეიძლება? გაიცანით ერთმანეთი.

ესმამ ხელი ჩამოართვა ვაჟს და მორიდებით მოიბოდიშა.

— დღეს დედასთან მივდივარ, შეუძლოდ არის.

მათიკოს გაეცინა:

— ესმას განსაკუთრებული რეჟიმი აქვს დაწესებული, არ გაგიკვირდეს მისი უარი, დუტუ.

— რეჟიმი კარგი რამაა, — ღიმილით შეაგულიანა დუტუმ ესმა.

— მე კი ურეჟიმო ქალი ვარ, — თავი გამოიდო მათიკომ, — მესტუმრეთ, როცა გენებოთ. დაიხსომეთ: მეორე სადარბაზო, მერვე სართული, შუა კარი.

— აუცილებლად გესტუმრები, — თქვა დუტუმ, — ლიფტი ხომ მუშაობს?

— სამწუხაროდ, დაზიანებულია.

— აბა, ჯერ ვიზიტზე თავის შეკავება მომიხდება.

— ერიდები სართულებზე სიარულს?

— რა გაეწყობა, სუსტი გული მაქვს.

მათიკომ გადაიკისკისა.

— ვაი, ჩვენი ბრალი, ეს რა დღე დაგვიდგა საბრალო ქალებს? ჯანმრთელი გულის მამაკაცი სანთლით საძებარია.

— კარგი ახლა, მათიკო, თავი ნუ მომჭერი ამ უცხო ადამიანთან.

— მაპატიეთ, სამსახურში მაგვიანდება, — მოულოდნელად თქვა ესმამ.

— მოიცათ, სამსახურში ჩვენც გვაგვიანდება! — წამოიძახა დუტუმ, ქალებს შუაში ჩაუდგა და მათთან ერთად გაეშურა ტროლეიბუსისაკენ.

ესმას არ ესიამოვნა მათიკოს და დუტუს ბაქრობა, გული ჩაწყდა და გადაწყვიტა თავი აერიდებინა მათთვის.

ასე გაიარა ერთმა კვირამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთხელ მაინც შეხვდა ვაუს იმავე გაჩერებაზე. იგი ღიმილით მიეგება და ძველი ნაცნობივით შეთამამებულმა უსაყვედურა:

— რატომ აღარ ჩანხართ? მეგონა, ავად იყავით. სახლში მოგაკითხეთ, მეზობლებმა მითხრეს — კარგად არისო. მაშინ გადავწყვიტე, აქ მენახეთ. ამ ავდარში, დილის შვიდი საათიდან რომ მელოდინებ, ქალო, არ გეცოდები? — ძალზე შინაურულად უთხრა, წვიმისაგან გალუმპულმა.

ესმას ერთბაშად გულზე მოეშვა, კმაყოფილება ვერ დაფარა და ღიმილით შეხედა აბუზულ დუტუს.

— რაღას ვდგავართ, ვიჩქაროთ, ტროლეიბუსი მოდის! — წამოიძახა სიხარულით გალაღებულმა ესმამ, დუტუ ფეხდაფეხ მიჰყვა, ორივენი ტროლეიბუსში ავიდნენ და ბოლო მერხზე დასხდნენ.

— საღამოს თეატრში გეპატიჟები, ესმა, პირდაპირ სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

— თეატრში წასასვლელად რომ არ ვარ გამოწყობილი?

— ვის გინდა, თავი მოაწონო?

— რა თქმა უნდა, თქვენ. — სიცილს ძლივს იკავებდა ესმა.

— ო, შენ არც ისეთი მორცხვი ყოფილხარ, როგორიც მეგონე, — გაეღიმა დუტუს.

— ეს კარგია?

— ყველაფერი კარგია, რაც ბუნებრივია.

— დიახ, მეც ასე ვფიქრობ.

— შესვენებაზე ქარხნის ალაყაფთან დაგელოდები, ესმა, ერთად ვისაუზმოთ.

— მეტისმეტად ხომ არ გადავტვირთავთ დღევანდელ დღეს?

— მე დაკარგულის ანაზღაურება მინდა...

დუტუ არქიტექტორი იყო. ძირითადად საცხოვრებელი სახლების დაპროექტებაზე მუშაობდა. მან იცოდა, რომ ესმას აინტერესებდა ხუროთმოძღვრება, ბევრს კითხულობდა, ამიტომაც სიამოვნებით უზიარებდა თავის ჩანაფიქრს და გულისყურითაც ისმენდა მის აზრსა თუ შენიშვნას.

— დასანანია, რომ ვერ ისწავლე, შენგან კარგი არქიტექტორი დადგებოდა. თუმცა ძნელი დარგია, ბევრ ფიქრსა და ჯაფას მოითხოვს.

— წელსაც ვცდი ჩემს ბედს, იქნებ, გამიმართლოს.

— რაღა დროს ეგაა, ესმა, ხუთი წელია, რაც სკოლა დაამთავრე. მე ასეთიც მიყვარხარ. მითხარი, როდის გადმოხვალ ჩემთან?

— ვნახოთ... — ღიმილით თავი გვერდზე გადახარა ესმამ.

— იცი, რატომ მიყვარხარ? იმიტომ, რომ სხვებს არ ჰგავხარ. ჰირივით მძულან ძალად მაცხონეები და უთავმოყვაროები.

— ვინ გყავს მხედველობაში?

— თუნდაც ის შენი ბავშვობის მეგობარი.

— მათიკო?

— ჰო, მათიკო. სიყვარულს დამსახურება უნდა, მას კი ჩვეულებად აქვს მისი გამოძალვა.

— რატომ მითხარი ეს?

— მაშ არ მეთქვა? ის ქალბატონი ახლაც არ მეშვება. მოვაწეროთ ხელი... გადმოდი ჩემთან. აღარ მინდა მარტო ვიყო.

— სხვისი ჯიბრით არაფერი გამიკეთებია და არც გავაკეთებ. — ცრემლი მოერია ესმას.

* * *

ტროლეიბუსის გაჩერებაზე ძველებურად ხვდებოდნენ ახლო-მახლო სახლების მცხოვრებნი და განშორებისას მუდამ საყვედურით მიმართავდნენ ხოლმე ერთმანეთს:

— ასე ცის ქვეშ როდემდე უნდა ვხვდებოდეთ? შევკრებილიყავით, თითო ჭიქით გვედღეგრძელებინა ერთმანეთი. რა დაშავდებოდა ამით?

— როგორ, დაგვპატიჟეთ განა, ბატონო დავით და უარი გითხარით? — ღიმილი შეაგება დათიკო თოიძეს დუტუმ.

— მოგიკვდეთ ჩემი თავი, ოღონდაც გვიკადრეთ.

— ისე, ზუსტად რომ დაგენიშნათ დღე და საათი, აჯობებდა. — არ იხევდა უკან დუტუ, მაგრამ თოიძემ, რომ თქვა, კვირას, ოთხ საათზე მეწვიეთო, ეტყობა შეგროვილები არ ელოდნენ ასეთ მოულოდნელ მოპატიჟებას და გაისუსნენ.

— რამ დაგამუნჯათ, ხმა ამოიღეთ. მაშ, ვგროვდებით კვირას ჩემთან?

— ახალგაზრდებო, თქვით რამე, — გახედა შეგროვილებს ქეთევანმა.

— რა თქმა უნდა, მოვალთ. — მადლობის ნიშნად თავი დაუკრა მათიკომ დავითს და ჩურჩულით გადაულაპარაკა დუტუს: — ერთი ჩვენებურად მოვილხინოთ.

კვირას, დანიშნულ დროზე, ესმა პირველი მივიდა გაჩერებაზე. ნაცნობებიდან არავინ რომ არ დახვდა, შეწუხდა. დეკემბრის ქარი ჰქროდა. ესმამ პალტოს საყელო აიწია, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და მოთმინებით დაიწყო ლოდინი.

„ასე ყველამ ერთად როგორ გადაიფიქრა მოსვლა?“ — გული დაწყდა ესმას. ის იყო სახლში გაბრუნება დააპირა, დუტუს ძახილი მოესმა:

— დუტუ! — გასძახა გახარებულმა ესმამ და შეეგება.

— დანარჩენები სად არიან?

— არ მოვიდნენ.

— წავიდეთ შინ, ხრ გაცივდე.

— დავითთან არ წავალთ?

— მე და შენ მარტო ხომ არ ვესტუმრებით?

— სულ რომ არავინ მივიდეს, ის უფრო უხერხული იქნება.

— კი, ბატონო, შენთან თუ გინდა, ჯოჯოხეთშიც წამოვალ.

— სად მოასწარი დალევა? რა საკადრისია ასე სტუმრად მისვლა...

— შენ თავსა ვფიცავ, დავითი არაფერს შემამჩნევს, წავიდეთ!

— წავიდეთ! — გაეღიმა ესმას. მაგრამ ათიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გადადგმული, თემურის ომახიანი ხმა შემოესმათ.

— მოიცათ, მოვდივართ, მოიცათ...

ნუცა წინ მორბოდა. მათიკოს და თემურს სიცილით მოჰყავდათ ქეთევანი. იგი მძიმედ სუნთქავდა, თუმცა ცდილობდა, ახალგაზრდებს სიარულში არ ჩამორჩენოდა.

— სად გარბოდით? — ქოთქოთებდა ქეთევანი, — უჩვენოდ აპირებდით მისვლას?

— ქალბატონო ქეთევან, დახედეთ საათს, — შეეპასუხა დუტუ.

— შენ, რა გითხარი, მათიკო, სულ შენი ბრალია.

— ახლა მიჯავრდებით, ქალბატონო ქეთევან, ჩემი დაწურული ღვინით რომ იჯერეთ გული? — აიბურცა ტუჩი მათიკომ.

— გვაპატიე, ესმა, — მოიბოდიშა ნუცამ, — თემურის ლექსებით გავერთეთ.

— დიახ, ამდენი ლექსი სცენაზეც არ წამიკითხავს, მაპატიეთ, — დამნაშავესავით თავი დახარა თემურმა.

— გაპატიებთ, ერთ ლექსს ჩვენც თუ წაგვიკითხავთ, — თქვა ესმამ.

— რა ახირებაა, ესმა? გაგიჟდით, ხალხო? რა დროს ლექსების კითხვაა ამ ქარსა და ყინვაში? — გაბრაზდა მათიკო.

— კმარა კამათი, მოიქანცა, ალბათ, ჩვენს ლოდინში ის კაცი, მომყევით, — თქვა ქეთევანმა და ესმასთან ერთად დაწინაურდა.

— დავითს მე და დუტუ მოვუხდით ბოდიშს დაგვიანებისათვის, — წამოიძახა მათიკომ, დუტუს ხელი გამოსდო მკლავში და გაიტაცა.

— ხედავ, რა ამბავშია ეს ქალი? — წყრომით უთხრა ნუცამ თემურს...

— ვხედავ.

— ხომ იცის, რომ ესმას და დუტუს ერთმანეთი უყვართ?

— იცის...

— მერე, თუ იცის, როგორ იქცევა?

— ნუციკო, გაუფრთხილდი ნერვებს, თორემ გული დაგისუსტდება...

— ეჰ, მე კი მეგონა, შენ ესმას და დუტუს მეგობარი იყავი.

— ვარ, დამიჯერე, ნამდვილად მეგობარი ვარ, მაგრამ სხვის საქმეში არ მიყვარს ჩარევა... შეხედე, აივნიდან დავითი გვიქნევს ხელს. ეჰეი, მასპინძელო, კარი გაგვიღე!

სახტადდარჩენილმა ნუცამ თანაგრძნობით გახედა ესმას და ანგარიშმიუცემლად თვითონაც ხელი დაუქნია დავითს.

* * *

მიუხედავად მათიკოს დაუფარავი ზრუნვისა, გვერდით მოესვა დუტუ, ვაჟი ესმასა და ქეთევანის შუა დაჯდა მაგიდასთან. მათიკო გამწარდა, თავი გამომწვევად ეჭირა, ხშირად სიტყვას აწყვეტინებდა თამადას და გამაღიზიანებლად მოითხოვდა, ვიცეკვოთო.

— ოჯახის უფროსი სიტყვას ამბობს, რა დროს ცეკვაა!

— ქალბატონო ქეთევან, მე საცეკვაოდ ახალგაზრდებს ვეპატიჟები, თქვენ რატომ სწუხხართ, ვერ გამიგია? — გაიკვირვა მათიკომ და კონიაკი ნაზად მოსვა.

ქეთევანს ცეცხლი მოეკიდა, მაგრამ არ გაპასუხებია.

— დაითვერი, მათიკო? — ხმადაბლა გადაუკრა თემურმა.

— ღმერთო კი მომკალი, მთვრალი გგონივართ? — იფეთქა მათიკომ და ჭიქა ერთბაშად გადაჰკრა.

— აუ, რა ყოფილხარ, შენი ჭირიმე! — ტაში შემოჰკრა თემურმა და მათიკოს ხელზე აკოცა. — თამადას ვთხოვ, მათიკოს სადღეგრძელო დაგვალევინოს.

ქეთევანმა ამრეზით გახედა გალაღებულ მათიკოს.

— არ ჩაგვაშხამა ამ სასიკვდილემ ეს მშვენიერი პურ-მარილი?

— რას ერჩით ამ სიცოცხლით სავსე არსებას? — გაეღიმა დუტუს.

— ოი, მიწა კი დავაყარე, რა სასიცოცხლო ეგ არის?

— ლამაზი კი არის, აბა, კარგად დაუკვირდით ცოდვაა ნუ წყევლით.

— მაბრაზებ, თუ მართლა ვერ ხედავ, მთელი სახე მოხატული რომ აქვს? ჭკუით იყავი, ნუ აყვები ამ ქალბატონის თვალების ჟუჟუნს.

—ავყვე რა, გუშინდელი ბავშვი ვარ?

— აბა, რა იყო წელან, კიბეებზე რომ აკოცე?

— მითხრა, მაკოცეო და რა მექნა? — გაეღიმა დუტუს.

— ოო... — შეცბა ქეთევანი.

— გაუმარჯოს, მეგობრებო, სიყვარულს, ყველაზე ლამაზ გრძნობას! — წამოიძახა მოულოდნელად მათიკომ, წამით დუტუს თვალი მიაშტერა, ღვინო შესვა და გიტარა მოითხოვა.

— ო, შენ გენაცვალე, მათიკო, ამ სადღეგრძელოს სწორედ რომ შენი სიმღერა დაამშვენებდა. — შეეხმიანა უკვე მთვრალი თემური.

მათიკომ დინჯად ააწყო გიტარა და „მხოლოდ შენ ერთს" წამოიწყო. მერე ერთბაშად საცეკვაო მელოდიაზე გადავიდა, გიტარა თემურს გადასცა. ცეკვა დაიწყო და სანამ დუტუ არ დაითანხმა, არ მოეშვა.

გულმოკლული ესმა ცდილობდა არავის შეემჩნია მისი მღელვარება, თუმცა, ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა და სულ იმაზე ფიქრობდა, რა მოემიზეზებინა, რომ აქედან გაეღწია.

— ქალბატონო ქეთევან, ესმას მკვდრის ფერი ადევს, ჩვენ კი ტაშს ვუკრავთ, ვერთობით... — საყვედურით წაუჩურჩულა ნუცამ. — გააჩერეთ მათიკო.

— ჭირიმე, სხვის ოჯახში ვართ, უხერხულია...

— ცოდვაა ესმა, ქალბატონო ქეთევან. რაღაც მაინც უთხარით მათიკოს.

— შენ თვითონ უთხარი.

ნუცა შეიმშუშნა, თავი გაიქნია.

— წელან ხომ ნახე, რა დღე დამაყენა? ჰოდა, სხვისი გულისათვის რაზე ვალანძღვინო თავი?

— ქრისტეს პერანგში ხარ დაბადებული, ჩემო დუტუ. — გაეცინა თემურს, — მაინც რა ხარ ასეთი, ერთმანეთზე უკეთესი ქალები თავს რომ იკლავენ შენი გულისათვის, ჰა?

დუტუს თავმომწონედ გაეღიმა.

— ზოგ ქალს გემოვნება რომ არ ჰქონდეს, რა მაგის ბრალია! — ცივი წყალივით გაანელა დუტუს მედიდურება ესმამ.

სტუმრებს ხმამაღლა გაეცინათ. მათიკომ ერთი კი მოხედა ესმას და კიდევ უფრო თავგამოდებით განაგრძო ცეკვა.

ვერავინ შეამჩნია, როდის წამოვიდა თოიძეებისაგან ესმა.

* * *

სახლში რომ დაბრუნდა, სინათლე არც კი ჩაურთავს, ისევე ჩაცმული მიწვა ტახტზე.

ოთახის სიბნელეში მდუმარედ ეპაექრებოდა თავისთავს. ცრემლები სახეს უწვავდა. გული სტკიოდა და სიმწრისაგან სუნთქვა ეკროდა. ასე დამცირებული და განადგურებული არასოდეს ყოფილა. ვერ ეპატიებინა თავისი თავისათვის, რატომ იყო ასე დაჯერებული დუტუს სიყვარულში. მაგრამ განა თავად არ აძლევდა ამის საბაბს?

„მაშ, რა მოხდა დღეს? რატომ დამამცირა ასე?" — უკვე მერამდენედ იმეორებდა ესმა და მაინც ვერაფრით ვერ გაემართლებინა დუტუს საქციელი.

„იქნებ, ღვინის ბრალია? ჰო, ზომაზე მეტად იყო ნასვამი. ნასვამი კი არა, მთვრალი იყო, უზომოდ მთვრალი. ფხიზელი ამას არ ჩაიდენდა"; — გაუელვა გუნებაში და ერთბაშად შვება იგრძნო, გულზე მოეშვა.

მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ესმა მიხვდა, რომ წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა, გამოსავალს ეძებდა, როგორმე გაემართლებინა დუტუს საქციელი.

„რა მემართება, რა მომდის? ჰო, მიყვარს, მიყვარს..."

„თუ გიყვარს, უნდა აპატიო..." — ჩაუდუდუნა თითქოს ვიღაცის ხმამ.

„ოღონდაც დამიბრუნდეს, ვაპატიებ!" — ბალიშებში ჩარგო თავი აცრემლებულმა ესმამ.

მოულოდნელად კარებზე კაკუნი გაისმა.

ესმა შეკრთა. სმენა დაძაბა.

კაკუნი განმეორდა.

„მოვიდა, დამიბრუნდა"! — გაიფიქრა გახარებულმა ესმამ და კარის გასაღებად გაიქცა.

ზღურბლზე მისი უმცროსი ძმა იდგა, აღელვებული, აფორიაქებული.

— დედა ცუდად არის, ძალიან ცუდად. ტვინში სისხლი ჩაექცა...

— ვაიმე, დედა...

* * *

გავიდა ორი წელი...

ერთხელ, ლენინის მოედანზე, მეტროს სადგურში შეხვდა ესმა ქეთევანს. ძველი ნაცნობები სიყვარულით მიეგებნენ ერთმანეთს.

— შენი ჭირიმე, როგორ გამეხარდა შენი ნახვა. გამარჯობა, ესმა!

— გამარჯობათ, ქალბატონო ქეთევან.

— ვიცი, ნაწყენი ხარ, უნდა მენახე, მაგრამ ვერ მოვედი... ცუდი ადამიანი ვარ, ხომ? — თვალები დაენამა ქეთევანს.

— როგორ გეკადრებათ, მე სიამოვნებით გიგონებთ. ისევ მუშაობთ? — უბრალოდ ჰკითხა ესმამ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

— პენსიაზე გავედი, შვილიშვილებს დავდევ. ახლაც მუსიკალურ სასწავლებელში გავრბივარ. შენ ისევ ქარხანაში მუშაობ? რაც გადახვედი იმ სახლიდან, აღარაფერი ვიცი შენზე.

— დიახ, ისევ ქარხანაში ვმუშაობ, თან ვსწავლობ, არქიტექტურულზე.

— ყოჩაღ, ესმა! — გადაკოცნა ქეთევანმა. — იმათ იკითხონ, რომ აერიათ საქმეები. დუტუ ეს ერთი თვეა ციხიდან გამოვიდა. უჩხუბნია იმის გულისათვის ვიღაცასთან. ქალბატონმა კი დაჰკრა ფეხი და ვიღაც ახალგაზრდა მხატვარს გაედევნა რუსეთში. აბა!

— მიატოვა ქმარი?

— მაშ, არადა, ციხის კართან გაუჩერდებოდა. დავითს შეხვედრია დუტუ. ნანობს, ძალიან ნანობს შენს დაკარგვას თურმე... იქნებ, გენახა, გაუხარდებოდა.

— არა, მე მას ვერ შევხვდები. თქვენ კი ნახეთ, გაამხნევეთ.

— შენ ისეთი კეთილი იყავი, ესმა... რა მოხდა? ესმა...

— მე ახლაც კეთილი ვარ, მაგრამ დუტუ ისეთი თავმოყვარეა, არა მგონია, ჩემი მოწყალება მიიღოს, — ნაღვლიანად გაეღიმა ესმას.

ქეთევანმა სახე მოარიდა. ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა:

— ჩვენ, ადამიანები ვართ დამნაშავენი იმაში, რაც მოხდა. ბედის ანაბარა მიგატოვეთ, განზე გავდექით, შორიდან სეირს ვუცქეროდით. სხვისი ჭირი არად ჩავაგდეთ. ჰოდა, დაინგრა ბედნიერება... ვიცი, ბევრის გადატანა მოგიხდა. ძნელია იმ შეურაცხყოფის, იმ ტკივილის დავიწყება...

— ქალბატონო ქეთევან, მაპატიეთ, ლექციებზე მაგვიანდება. ნახვამდის!

— ნახვამდის, ჩემო ესმა... — თქვა ქეთევანმა და სიყვარულით გააყოლა თვალი ახალგაზრდა ქალს, რომელიც მტკიცე ნაბიჯით მიემართებოდა ბაქანზე ჩამომდგარი მატარებლისაკენ.



ეფროსინე — „მარინე“.

# გენრიეტა ლეჟავა



ფროსია — „გვარს ნუ დავასახელებთ“.

26 საუკუნის წინ, მეფე ლიკურგის დროს, ავადმყოფს სიცილს უწერდნენ, როგორც ერთადერთ სამკურნალო საშუალებას. ჯანმრთელი სიცილი ჰკურნავდა ადამიანის სულს, ამარცხებდა სნეულებას და ამაღლებდა გუნება-განწყობას.

ქართველებს იუმორი არ გვაკლია, მაგრამ ნახეთ სატელევიზიო ფილმი „ქვევრი“, უყურეთ მსახიობთა იუმორით სავსე თამაშს და დატკბებით, იცინებთ ცრემლის დენამდე. უყურეთ გენრიეტა ლეჟავა-მაროს, როგორ ახტება დანჯღრეული მანქანის კაბინაში, როგორ ცდილობს მანქანა ადგილიდან მოწყვიტოს, მიზანსმიუღწეველი თავს გააქნევს, ერთს კი გადმოხედავს გაჯავრებულ, მობობოქრე ქმარს და კაბინიდან ნაწყენივით გადმოდის.

...ქვევრში ხელოსანი გამოემწყვდა, გენრიეტა მივა, დახედავს, ზურგს მიუშვერს და ისეთი გულუბრყვილო, დამაჯერებელი სახით სთხოვს, მხრებზე ჩამომეკიდე, იქნებ ქვევრიდან ამოგაძვრინოო, ისეთი ნათელი ფერებით ხატავს ამ სახეს, ისე ბუნებრივად მოქმედებს, რომ მაყურებელი თავდავიწყებამდე იცინის.

როდესაც რეჟისორმა ირაკლი კვირიკაძემ თავის საკურსო ნამუშევრად მაყურებელს სატელევიზიო ფილმი „ქვევრი“ შესთავაზა, ფილმმა არა მარტო შინაარსით, არამედ მსახიობთა საგულდაგულო შერჩევითა და მათი მართალი თამაშითაც მოხიბლა მაყურებელი.

...გენრიეტამ წინდები ამოიცვა, წინსაფარი მიიფარა, ხილაბანდი შემოიკრა და თავი ისე იგრძნო, თითქოს ამ სამოსში დაბადებულაო და სოფლის საქმეებში ჩართულს, ერთის წამით ვერ მოუცლიაო. მაყურებელი მოიხიბლა მისი უშუალობით, კახური კოლორიტულობით. სიარული, მოძრაობა, მეტყველება, მიმიკა ისე შეერწყა ერთიმეორეს, რომ თუ კვირიკაძის „ქვევრი“ იმთავითვე აღიარებული იქნა კარგ ფილმად, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ამ ფილმის დიასახლისსაც.

რითი მიაღწია მიზანს, რატომ მოსწონს მაყურებელს მისი კახელი მარო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენრიეტა ლეჟავა ყოველთვის ცდილობს როლი საკუთარ სახედ, საკუთარ „მედ“ აქციოს. ხანგრძლივად, დაჟინებით შრომობს, ეძებს იმ ნიუანსს, იმ პატარა უხილავ ძაფს, რომლითაც მთელი ქსოვილია ამოსხმული. ასე ხსნის იგი ახალ სახეს, ასე ქმნის ადამიანს, საკუთარს, თავისთავადს, თავისებური მსუბუქი, გენრიეტასეული იუმორით.

...გენრიეტა ძველი რევოლუციონერისა და მსახიობის ვიტალი ლეჟავას ოჯახში დაიბადა. მისი ორი დეიდაც — რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ აბაშიძე და ნინო აბაშიძე მსახიობები იყვნენ. ასეთი ტრადიციის ოჯახში იზრდებოდა გოგონა, სადაც იკრიბებოდნენ მაშინდელი ჩვენი გამოჩენილი თეატრალები, მათ შორის ალექსანდრე იმედაშვილი, პავლე ფრანგიშვილი (შემდგომში თ. აბაშიძის მეუღლე) და სხვები.

გენრიეტა თეატრში უნივერსიტეტის დრამატული წრიდან მოვიდა.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე სანიტარული კულტურის თეატრში გადავიდა. შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის დასში ჩარიცხეს და სცენის დიდოსტატების გვერდით აღმოჩნდა.

— არა მგონია, ადამიანს ოცნება ისე ახდენოდეს, როგორც მე, — ამბობს გენრიეტა, — ჩემი სათაყვანო მსახიობები იყვნენ და არიან ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, მერი დავითაშვილი, ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე, შალვა ღამბაშიძე... და, აი, მოულოდნელად მე მათ წრეში მოვხვდი...

იმ ხანად თეატრმა დასადგმელად მოამზადა ვ. გაბესკირიას „უფსკრულის პირად“, პირველ შემადგენლობაში შალვა ღამბაშიძე და სესილია თაყაიშვილი თამაშობდნენ. გენრიეტამ მეორე შემადგენლობისათვის დაიწყო მუშაობა. სესილია ყოველნაირად ეხმარებოდა თავის დუბლიორს, რომ კარგად წამდგარიყო მაყურებლის წინაშე. მერე სესილიამ და ვერიკომ გამარჯვება მიულოცეს, მოუწონეს გააზრებული თამაში და სპექტაკლის დასასრულს გადაკოცნეს. დიდი მსახიობების სითბომ და მხარდაჭერამ განსაკუთრებული როლი ითამაშა მსახიობის წინსვლაში.

ცეცილია წუწუნავას შემდეგ ძნელი იყო გამოენახათ ლუარსაბ თათქარიძის ცოლის — —დარეჯანის როლის შემსრულებელი მსახიობი. რამდენი მღელვარე და უძილო ღამეები ახსოვს გენრიეტას. იგი საგონებელში იყო ჩავარდნილი: როგორ მიიღებდა მაყურებელი ახალ დარეჯანს... და, აი, გენრიეტამ სცენაზე გამოსვლისთანავე იგრძნო მაყურებლის კმაყოფილება. მისი დარეჯანიც იწამა ხელოვნების მოყვარულმა საზოგადოებამ, თავისებური, ალალი გულუბრყვილო...

სრულიად განსხვავებულია გენრიეტა მ. ბარათაშვილის „მარინეში“ („ჭრიჭინა“). ეფროსინე ბებიას სახემ გენრიეტა ლეჟავას შესრულებით, აქტიორული ოსტატობის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, მაშინაც კი, როდესაც ეფროსინე ბებია წუწუნებს, ან ტირის, იმდენი იუმორია ამ ცრემლებსა და მოთქმაში, რომ მაყურებელი ხარხარებს. რაოდენი სითბო, რა მდიდარი მიმიკა და ჟესტია მის მოძრაობაში...

1958 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნების დეკადაზე დედაქალაქის ჟურნალისტები აალაპარაკა გენრიეტა ლეჟავას ეფროსინე ბებიამ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა 1960 წელს მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი“ დადგა. მაკრინეს როლს გენრიეტა ასრულებდა. მოხდენილად მიგნებული ტონალობით, თავისებური და ნათელი იუმორით გამოირჩეოდა მისი მაკრინე.

გავიხსენოთ თუნდაც საჩუქრის მიღების სცენა: მაკრინე-გენრიეტა გაკვირვებით ჩამოართმევს სტუმარს ნაჩუქარ ქოლგას, შეათვალიერებს, დაკეცავს და ისე, რომ სტუმარს არ აწყენინოს, შეუმჩნევლად მოიშორებს. მის მიმიკაში, თვალების გადატრიალებაში, ტუჩების უცნაურ მოძრაობაში მაყურებელი ხედავს გმირის შინაგან ხასიათს, აზრს: „აბა, სად მე და სად ეს მოხატული „სათამაშოო“.

სულ სხვაა ძიძა „რომეო და ჯულიეტაში“, რომლითაც გენრიეტამ ერთი შესანიშნავი სახე შესძინა სპექტაკლს.

მკაცრ და თავშეკავებულ, დიდებული ზომიერებით დადგმულ სპექტაკლში, სადაც ანსამბლის მთლიანობა, პირველყოვლისა, აქტიორული თამაშის სტილის მთლიანობაა, სადაც გმირთა ვნებები თითქოს ამოსავარდნად გამზადებული ქარიშხალია, მისი ძიძა ხალხური იუმორითაა სავსე. ჟურნალი „თეატრი“ სწორედ ამ როლზე ამახვილებდა ყურადღებას და წერდა:

სპექტაკლის მთელ კომპოზიციაში მკვეთრი, ნათელი საღებავებით ხატავს ამ სახეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გენრიეტა ლეჟავა, ურომლისოდაც სპექტაკლი თითქოს შეუვსებელი დარჩებოდაო.

გენრიეტა ლეჟავამ ახლახან დაამთავრა გადაღება ლეილა გორდელაძის კინოფილმში „მოიტაცეს თამრიკო“. გენრიეტა აქ დეიდა გენრიეტას სახასიათო როლს თამაშობს.

— კიდევ რაზე ოცნებობთ, რა გაქვთ საზრუნავი?

— აი, ჩემი საზრუნავი — მაკა და ქეთინო. ხომ ხედავთ, ლაპარაკს არ მაცლიან. ლამის ხელი ჩამაქნევინონ ხელოვნებაზე, — ამბობს ღიმილით გენრიეტა და შვილიშვილებზე გვითითებს, კაბის კალთაზე რომ ეკიდებიან და ცდილობენ ბებიის ყურადღება მხოლოდ მათკენ იყოს მიმართული. და ესეც ერთგვარად თითქოს კინოკადრია იმ სცენარიდან, ამ ნიჭიერი მსახიობისათვის რომ უნდა დაიწეროს.

გენრიეტას სამუშაო ოთახში ქართველ მსახიობთა ფოტოსურათების მთელი გალერეაა. უყურებს ყოველ მათგანს, ზოგს ღიმილით, ზოგს — „სინანულით“, და ფიქრობს ახალ როლზე, ახალ სახეებზე.

**დოდო ზურაბიშვილი**



# ხვალინდელ დღეზე ზრუნვით

ბორცვთან ავტომანქანა გაჩერდა. კაბინის კარი სასიამოვნო გარეგნობის ქალმა გამოაღო. რამდენიმე ბავშვი ცოცხლად მიიჭრა მასთან.

— პატივცემულო მასწავლებელო, მოგეხმარებით, — მიმართეს მოსწავლეებმა.

— გმადლობთ, მე თ-ი მომეხმარება, — კუშტად მდგარი თავჩაღუნული ბავშვი უცბად მისკენ შემობრუნდა და მასწავლებელს

# ტყუპ-ტყუპი

ეს მოხდა 1900 წელს. იტალიის მეფე უმბერტო პირველი თავის ქვეყანაში მოგზაურობდა. მეფემ გადასწყვიტა ქალაქ მონცაში ესადილა. ერთ პატარა, რესტორანში შევიდა, მაგიდას მიუჯდა და მენიუს დაუწყო თვალიერება, როცა მეფემ რესტორნის მფლობელს აჰხედა, რომელიც ასეთ საპატიო სტუმარს თავად ემსახურებოდა, გაოცებისაგან პირი დააღო... სასტუმროს მფლობელი მეფის განსახიერება იყო.

— რა გქვია?

— უმბერტო, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

— შენც უმბერტო? სად დაიბადე და როდის?

— 1844 წლის 14 ივნისს, ტურინში.

ასეთი დამთხვევით გაოგნებული მეფე გაჩუმდა. ყოველივე ამას დაემატა ისიც, რომ მეფესა და სასტუმროს პატრონს ცოლი ერქვა და იმავე დღეს შეურთავთ, მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი გაუწოდა. მასწავლებელმა ყმაწვილის სახეზე სიხარული და კმაყოფილება ამოიკითხა. თ-ი ძნელად აღსაზრდელ ბავშვად მიაჩნდათ. ამიტომ მასწავლებლის ყურადღება მისკენ იყო მიქცეული.

— აბა, მუშაობას შევუდგეთ! — თქვა მასწავლებელმა და პირველად თვითონ დასწვდა ბუდნას. მოწაფეებმაც მიბაძეს და კარტოფილის ამოღება დაიწყეს.

ანიკო მანველიძე, მანგლისის ქართული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, ბავშვებისათვის ცოცხალ მაგალითად ქცეულა. სწრაფი, უხმაურო ნაბიჯით დადის კლასში, დერეფანსა თუ ქუჩაში. და ვერც ერთ ბავშვს გულგრილად ვერ ჩაუვლის. ზოგს მიესალმება, ზოგს გამოელაპარაკება, შენიშვნას მისცემს, ცუდისთვის გაკიცხავს, კარგისთვის ძუნწად შეაქებს. მოწაფეები გრძნობენ, რომ ყველგან უთვალთვალებთ მასწავლებლის ფხიზელი თვალი.

ანიკო მასწავლებლის გაკვეთილები ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველია. ყველა ბავშვს ერთნაირად უნაწილებს ყურადღებას. ერთს წაეშველება, მეორეს გაუსწორებს. ყველაფერს ისე ზომიერად, უშუალოდ და პედაგოგიური ტაქტით აკეთებს, რომ ყველა მოსწავლეზე ზეგავლენას ახდენს. მისი ყოველი სიტყვა, ხმის ინტონაცია, გამართული ენა, მიხრა-მოხრა, მიმიკა შთამბეჭდავი და პედაგოგიურია. გაკვეთილზე მთელი კლასი აზროვნებს, მსჯელობს. მასწავლებელი მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის, ძიებისა და კვლევის უნარს აღუძრავს, ცდილობს ახსნისთანავე შეასწავლოს გაკვეთილი. კითხვები, პასუხები, მსჯელობა. ანგარიში... დაძაბულად, მაგრამ საინტერესოდ გადის 45 წუთი

უფროსკლასელები გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას მათემატიკის შემსწავლელ წრეში ილრმავებენ. ამ წრეს ანიკო მანველიძე ხელმძღვანელობს. მისი ხელმძღვანელობით სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადა, მათემატიკური ვიქტორინები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას. ამიტომაც გამოირჩევიან ანიკოს მოსწავლეები საგნის მყარი და საფუძვლიანი ცოდნით.

მასწავლებელი დიდ ყურადღებას უთმობს სუსტ ან ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობას. მრავალფეროვან ხერხებსა და მეთოდებს მიმართავს. ყველა მოსწავლეს ინდივიდუალურად უდგება.

— მთავარი ბავშვის ზნეობის, მისი ადამიანობის აღზრდაა. სკოლიდან ცოდნის გარდა, ზრდილობა და კეთილშობილება უნდა გაჰყვეს ყმაწვილს, — ამბობს ხოლმე ანიკო მასწავლებელი.

ანიკო მანველიძე სწავლობს ბავშვთა ოჯახურ პირობებს, ხშირად ეხმარება ხელმოკლე ბავშვებს სასკოლო ფონდიდან, ესაუბრება და რჩევა-დარიგებას აძლევს მშობლებს. ბავშვებზე პირადი მაგალითით ახდენს გავლენას. პედაგოგი მათთან ერთად მუშაობს სასკოლო ნაკვეთზე თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე. ბავშვები რწმუნდებიან, რომ შრომა სათაკილო არ არის, შრომის შედეგი კი საამაყო და სასიხარულოა.

ბავშვებს უყვართ ანიკო მასწავლებელი, ცდილობენ ყველაფერში მიჰბაძონ. სკოლის დამთავრების შემდეგაც ხშირად იგონებენ მათემატიკის მასწავლებელს. მასწავლებელსაც ყოველთვის აინტერესებს თავისი აღზრდილების ავ-კარგი, შრომითი საქმიანობა, პირადი ცხოვრება.

„ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, თუ სტუდენტებს გავუღვივებ საგნისადმი სიყვარულს ისე, როგორც თქვენ გვიღვივებდით ჩვენ, მათემატიკისადმი სიყვარულსო", — სწერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერმუშაკი მერი ნარგიზაშვილი.

„თუ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს სიყვარულით ვემსახურები, ამაში დიდი როლი ანიკო მასწავლებელმა და მისმა გაკვეთილებმა შეასრულეს", — მისი ყოფილი მოსწავლის, ამავე სკოლის ფიზიკის მასწავლებლის ლეილა მუხრაძის ეს სიტყვები კარგი ჯილდოა აღმზრდელისათვის.

ანიკო მასწავლებელი დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა კოლეგებს. ხელმძღვანელობს მანგლისის ზონის სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდკომისიას, უზიარებს საკუთარსა და სხვა მოწინავე პედაგოგთა გამოცდილებას, თვალყურს ადევნებს მათემატიკისა და პედაგოგიური მეცნიერების მიღწევებს და შემოქმედებითად ნერგავს პრაქტიკულ საქმიანობაში.

ანიკო მანველიძე წლების განმავლობაში არჩეული იყო რაიონული საბჭოს დეპუტატად და სახალხო სასამართლოს მსაჯულად. იგი დაჯილდოებულია რამდენიმე მედლით, „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით.

გვიან ღამემდე გამოკრთის ანიკო მანველიძის სამუშაო ოთახიდან სინათლის შუქი. მუშაობს მასწავლებელი, გულდასმით ამოწმებს მოსწავლეთა ნამუშევრებს, ადგენს მეორე დღის სამუშაო გეგმას და ასე, ხვალინდელ დღეზე ფიქრით, მომავალ თაობაზე ზრუნვით კიდევ ერთი ღამე იწურება.

**ვ. მინდორაშვილი**

---

ცოლები და ვაჟიშვილები კი სეხნიები ყოფილან.

უმბერტო 1878 წელს უკურთხებიათ მეფედ, მეორე უმბერტოსაც იმ დღეს გაუხსნია თავისი სასტუმრო.

ყოველივე ეს ისე უჩვეულო იყო, რომ მეფე უმბერტოს მოუთხოვია, რომ თავის ახლს მეორე დღესაც შეხვედროდა, მაგრამ ისინი ვეღარ შეხვდნენ ერთმანეთს: სასტუმროს მეპატრონე უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

— ჩვენი ბიოგრაფიები ბოლომდე მაინც არა ჰგავს ერთმანეთს... — მელანქოლიური ხმით წარმოსთქვა უმბერტო პირველმა. — ის უკვე ზეცაშია, მე კი...

ამ დროს მეფეს თავს დაესხნენ და იგი უსულოდ დაეცა ძირს...

* * *

ქ. დალასში (ტეხასის შტატი, აშშ.) ისე გახშირდა მაღაზიების ძარცვა, რომ ერთმა სასოწარკვეთილმა ვაჭარმა ასეთ ზომას მიმართა: იყიდა ერთი დუჟინი მახრჩობელა გველი, რომელთაც დღისით ბადურაში მოთავსებულთ, ვიტრინაში დებდა. ღამით გველები მაღაზიაში დასრიალებდნენ, რითაც მძარცველებს იძულებულს ხდიდნენ პატივი ეცათ კერძო საკუთრებისათვის. ამ მოხერხებულ ვაჭარს სხვა დალასელმა ვაჭრებმაც მიჰბაძეს, რის შედეგადაც გველების ფასი მკვეთრად გაიზარდა.

მაგრამ მძარცველები უფრო ეშმაკები აღმოჩნდნენ: მორიგი ოპერაციის წინ ყიდულობდნენ რამდენიმე მანგუსტს, რომლებიც, როგორც ცნობილია, გველებთან ორთაბრძოლაში ყოველთვის იმარჯვებენ.

# კაპიტალის სამყაროში

ექვსიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის ექვსი მილიონი იტალიელიდან მხოლოდ 800 ათასი ბავშვი დადის სკოლაში, დანარჩენი იძულებულია იმუშაოს, თუმცა ამ ქვეყანაში მოზარდთა შრომა ოფიციალურად აკრძალული გახლავთ.

ათასობით ბავშვი შრომობს სოფლის მეურნეობაში მხოლოდ ლუკმაპურისა და თავშესაფრისათვის; ზოგჯერ გასამრჯელოდ მათ თითო კილო ფქვილს აძლევენ. ზოგი რესტორანში მუშაობს, ზოგი — მოახლედ და ა. შ. ქ. ალტამურში (ბარის პროვინცია) სპეციალური „ბავშვების ბაზრობაც" კი ეწყობა ხოლმე აგვისტოს თვეში.

შემთხვევითი არ არის საწარმოო ტრავმატიზმის მეტად მაღალი დონე, არც სიკვდილიანობაა აქ იშვიათი. 12 წლის ფრანჩესკო მარიზანო ხარაჩოდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა. 10 წლის ანტონიო სკოლიჩი მანქანის ძარიდან გადმოვარდა და დაიღუპა. 10 წლის სისო კოლომბოს დაზგამ მოგლიჯა ხელი.

მსგავსი შემთხვევის დროს პოლიციის ინსპექტორები აღიარებენ, ამის მიზეზი საშინელი სიღატაკე და უმუშევრობაა, რასაც ზედ ისიც ერთვის, რომ მშობლები იმ პირებს, ვინც მათ შვილებს ქირაობს, ექსპლოატატორებად კი არა ქველმოქმედებად თვლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მშვიდობის ელჩი

ა. ჰარიმანმა, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა წარმომადგენელმა, ვიეტნამის საკითხისადმი მიძღვნილ პარიზის ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე, ჟურნალისტებთან არაოფიციალურ საუბარში, როგორღაც აღიარა: ჩემს დიპლომატიურ პრაქტიკაში იშვიათად შემხვედრია ისეთი ძლიერი და უდრეკი მოწინააღმდეგე, როგორიც ნგუენ თხი ბინია. მან დაიპყრო პარიზი და ფრანგებს კონკურსი რომ დაეწყებინათ „მისს მსოფლიოზე“, სადაც უპირველეს ყოვლისა ინტელექტუალური მონაცემები იქნებოდა გათვალისწინებული, ქალბატონი ბინი გამოვიდოდა გამარჯვებულიო.

ცნობილია, რომ მოწინააღმდეგენი ქათინაურებს არ ამბობენ, და შეფასება, რაც ამერიკელმა დიპლომატმა ნგუენ თხი ბინს მისცა, იძულებითი აღიარებაა მისი გამორჩეულობისა...

მებრძოლი, პატრიოტი, დიპლომატი, საგარეო საქმეთა პირველი მინისტრი სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკისა — აი, ვინ არის ნგუენ თხი ბინი.

ბინი დაიბადა 1927 წელს საიგონში. მისი ბაბუა ვიეტნამელი პატრიოტი ფან ტიუ ჩინია, რომლის სახელი ვიეტნამის ქალაქების ბევრ ქუჩას ჰქვია. ბინმა ბრწყინვალე განათლება მიიღო. მარქსისტული ფილოსოფიითა და პოლიტიკური ეკონომიით გატაცებული, სავსებით ახალგაზრდა ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში. შედიოდა პროგრესულ ქალთა ასოციაციის შემადგენლობაში, იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი სამხრეთვიეტნამელი სტუდენტებისა და ინტელიგენციის მოძრაობისა, რომელიც „ჩან ვან ონის მოძრაობის“ სახელით არის ცნობილი. პოლიციამ მიაგნო ნგუენ თხი ბინის კვალს და დააპატიმრა. მან სამი წელი ციხეში გაატარა.

1960 წლის დეკემბერში ბენჩეს პროვინციაში, პატრიოტული ძალების კონგრესზე, შეიქმნა ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი. ნგუენ თხი ბინი ამ ფრონტის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე გახდა. მისი სახელი კარგად არის ცნობილი. ბინი მეთაურობდა ეროვნული ფრონტის ბევრ დელეგაციას საზღვარგარეთ, გამოდიოდა კონგრესებსა და კონფერენციებზე, მოუწოდებდა ყველას, ვისთვისაც კი ძვირფასია მშვიდობა და სამართლიანობა, შემჭიდროებულიყვნენ, ყოფილიყვნენ ფხიზელნი, მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ ინდოჩინეთში ამერიკის აგრესიისათვის.

1969 წლის 6 ივნისს იშვა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკა. ნგუენ თხი ბინი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა დროებით რევოლუციურ მთავრობაში. ახლა იგი თავისი ხალხის ინტერესებს იცავს პარიზის ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე, როგორც სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის მეთაური.

ბინი ვიეტნამურად „მშვიდობას“ ნიშნავს. ძნელია იპოვოთ უფრო შესაფერი სახელი იმ საქმისათვის, რომელსაც ასრულებს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი პარიზის მოლაპარაკებაზე. მისი დელეგაციის წინადადების არსი ერთია: დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აგრესია და სამხრეთ ვიეტნამიდან გაიყვანონ თავიანთი ჯარები და მათი თანამზრახველების ნაწილები, მისცენ ვიეტნამელ ხალხს უფლება თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ბედი.

ნიქსონის მთავრობა კვლავ აგრძელებს აგრესიას ინდოჩინეთში. ვიეტნამელი პატრიოტები იარაღით ხელში იბრძვიან ოკუპანტების წინააღმდეგ, ხოლო პარიზში თავისი მრავალტანჯული სამშობლოს ინტერესებს მამაცურად იცავს მისი დიპლომატიური წარმომადგენელი ნგუენ თხი ბინი.

მ. ილინსკი.

ჟურნალი „რაბოტნიცა“, № 9, 1971 წ.

* იბეჭდება შემოკლებით.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## აღზრდის ხელოვნება

# უტკბესი და უმწარესი

სულხან-საბა ორბელიანის იგავის — „უტკბესი და უმწარესის“ — შინაარსი ასეთია: მეფეს ვეზირისათვის უბრძანებია, ყველაზე ტკბილი საჭმელი მომიტანეო. ვეზირს ენა მიურთმევია. მეორედ უმწარესი მოუთხოვია მბრძანებელს. კვლავ ენა უბოძებიათ. მის შენიშვნაზე ვეზირს უპასუხია: „თავმან შენმან, არცარა ენის უტკბესი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისაო“.

ტკბილმოუბრობაზე, აწონილ სიტყვაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანთა კეთილგანწყობა და კეთილდღეობაც.

ნამდვილად დასანანია, რომ, რატომღაც, ამ ბოლო დროს თანდათან მივიწყებას ეძლევა სალოლიაო სიმღერები და სიტყვები, მათ ადგილს კი იჭერს ათასნაირი სალანძღავ-საწყევარი გამოთქმა, რაც წამდაუწუმ ესმით უფროსებისაგან ბავშვებს და, ბუნებრივია, მათ მეტყველებაშიც ბატონდება. ვის არ შეუნიშნავს, რომ მოზარდი დამოუკიდებლად, მარტო, თავისთვისაც ლაპარაკობს. სწორედ ამ თავისთვის მეტყველების დროს, თოჯინას რომ „აძინებდა“, მაშინ ჩავიწერეთ ერთი 4 წლის გოგონას ნაუბარი:

„მოშავდი, ჩაშავდი აკვანში! გააჩერე მოსატეხი ხელი! გამართე გასახმობი ფეხები, დააყენე თავი, მოსასპობი თავი! ნუ ტირი, ჩაგიშავდა ენა! ჭირი, ჰა ჭირი!“ (აქ თოჯინას ხელებზეც წაუტყაპუნა).

ბავშვთა ურთიერთობაში ხშირად გაისმის: „წაშავდი-მოშავდი“, „გაეთრიე-მოეთრიე!“ „აბნელდი-დაბნელდი!“ „მოუკვდი შენს პატრონს!“ „მაიმუნო!“ „ვირო!“ „სახედარო!“ და, რაც კიდევ უარესია, ისეთი უცენზურო სიტყვებიც კი, რომელთაც ვერ გაიმეორებ, არც დაიბეჭდება, სამწუხაროდ ისინი, ძირითადად, მშობლების მაგალითითაა გამოწვეული.

საუბედუროდ, საბავშვო ბაგა-ბაღისა თუ სკოლის ზოგი ვაი-პედაგოგიც მიმართავს ისეთი უდიერი სიტყვების გამოყენებას, როგორიცაა: „დეგენერატო“, „დებილო“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კრეტინო“, „მხეცო“, „დაჭყდი“, „გაეთრიე კარში!“

რა უნდა ვთქვათ მშობლებსა და პედაგოგებზე, რომელთაც ანალოგიური „მარგალიტები“ სცვივათ პირიდან? რასაკვირველია, ისინი ვერ გამოდგებიან აღმზრდელებად. მათგან ნორჩები კარგს ვერაფერს ისწავლიან. ბავშვი ხომ მიმბაძველია და, ბუნებრივია, ყველაფერს ადვილად გადაიღებს და შეითვისებს, ხშირად მოზარდები სწორედ უფროსებს და მათ შორის, მშობლებსაც ასახელებენ: ისინიც ასე ლაპარაკობენო. ასეთი მშობლები ხელს უწყობენ მათთან კონტაქტში მყოფი ნორჩების ენის შერყვნასაც. სწორედ ამიტომ იყო, რომ გიორგი შატბერაშვილი მკითხველს ემუდარებოდა: „არ გააგონო ბალღს ავქართული!“

გიორგი ლეონიძემ თავის შესანიშნავ მოთხრობაში — „დეიდა მაიკო“ უამრავი საალერსო სიტყვა და ფრაზა ჩამოთვალა, რომელიც პირადად მას მოუსმენია და ამჟამად არავინ იყენებს. შეუძლებელია არ გაიზიარო მისი შეშფოთება: „რა იქმნენ, სად წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად ათასმა მაიკომ რომ იცოდა საქართველოში?“

მართლაც დასანანია და კიდევ უფრო სავალალოა, რადგან პირველ რიგში დედები არიან ვალში ნორჩთა წინაშე, რადგან სწორედ მათთანაა ბავშვი მეტხანს და მათგანვე სწავლობს პირველ სიტყვას.

ბავშვის ენა იმის აშკარა ანარეკლია, თუ როგორ მიმართავენ ოჯახში ერთმანეთს უფროსები.

შარშან „ჟურნალისტის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ოლეგ ორესტოვის მეტად საგულისხმო წერილი — „ინგლისი ულრუბლოდ“. ამ წერილში ერთ ადგილს მივაქციე ყურადღება:

„დედა ქუჩაში თავის ორი წლის შვილს ეუბნება:

— „კეთილ ინებე, გეთაყვა, აიღე ბურთი და, თუ შეიძლება, მომაწოდე. დიდი მადლობა“...

განა ბავშვისადმი ასეთ მიმართვას ჩვენში ხშირად გაიგონებთ?

ისევ ზემოხსენებულ სტატიას მივუბრუნდეთ:

...„როცა ბავშვი წამოიზრდება და სრულწლოვანი გახდება, ავტობუსში კონდუქტორს გაუწვდის ფულს სიტყვებით:

— კეთილ ინებეთ, გეთაყვა, მომეცით ბილეთი ბონდ-სტრიტამდე.

კონდუქტორი, ფულს რომ იღებს:

— გმადლობთ.

მგზავრი, ბილეთს რომ იღებს:

— მადლობელი ვარ“.

ასეთი ურთიერთობა, გარდა იმისა, რომ პირველი და საიმედო იარაღია უწმაწური, უხამსი სიტყვების წინააღმდეგ საბრძოლველად, ზნეობრივი აღზრდის უებრო საშუალებაცაა.

დამტკიცებულია, რომ გაბრაზებას, გულისწყრომას, დაუოკებელ ღელვას სწორედ შეურაცხმყოფელი, უხეში სიტყვები იწვევს. დადგენილია ისიც, რომ, როცა ადამიანი ყვირის, ცხარობს, თუ მას დაბალი ტონით, თავაზიანად პასუხობენ, იგი მშვიდდება. ლმობიერი პასუხი აშოშმინებს, ზღუდავს და აოკებს მღელვარებას.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ბავშვებს საზოგადოდ მიღებული, ალერსიანი სიტყვები უნდა ესმოდეთ მუდამ. მიმართვა ყოველთვის მშვიდი, ხალისიანი, ლოიალური უნდა იყოს. მაშინაც კი, როცა ვუჯავრდებით, არ უნდა გამოვიდეთ მოთმინებიდან. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ალერსიანი, ოღონდ ამ ალერსში ჩაქსოვილი საყვედურნარევი კილოთი, უფრო კეთილმყოფელ ზემოქმედებას მოვახდენთ ნორჩის სულზე, ვიდრე ყვირილითა და ერთფეროვანი სალანძღავი სიტყვებით, რომლებიც მალე ცვდება, ხუნდება და ზემოქმედების ძალასაც ჩქარა კარგავს. შემთხვევით არ უთქვამს დიდ პედაგოგს ა. ს. მაკარენკოს: „ნამდვილ ოსტატად მხოლოდ მაშინ ვიქეცი, როცა ვისწავლე „მოდი აქ“ 15-20 ელფერით მეთქვა, ხოლო სახეს, ფიგურას, ხმას უკვე ოცამდე ნიუანსს ვაძლევდი“.

გახსოვთ, სერვანტესის სიტყვები: „არაფერი ღირს ისე ძვირი და არაფერი გვიჯდება ისე იაფი, როგორც თავაზიანობა“.

დიახ, თავაზიანი, ტკბილმოუბარი შვილების აღზრდა ყველა მშობლის მოვალეობაა. როგორ შეიძლება ამის მიღწევა? მხოლოდ და მხოლოდ პირადი მაგალითით. თუ ოჯახის წევრთა შორის კეთილგანწყობა და ურთიერთ პატივისცემაა. თუ ბავშვი ყოველდღიურ მეტყველებაში ავქართულს კი არა, ალერსიან, ტკბილ სიტყვებს მოისმენს, ისიც უეჭველად თავაზიანი და ტკბილმოუბარი იქნება.

**ვახტანგ კახაძე,**
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ძვირფასო რედაქცია

ეს წერილი პირადი მაგალითის ანალიზია და ცუდი არ იქნება, თუ ჩვენი ქალები წაიკითხავენ. როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დაავადებად დღეს მსოფლიოში კიბოს აღიარებენ და მისი გამომწვევი მიზეზებისა თუ განკურვნის პრობლემებზე მილიონობით ონკოლოგი მუშაობს.

სპეციალობით ექიმი არა ვარ, მაგრამ ავადმყოფიც თურმე არანაკლები ექიმია თავისი თავისა. დაავადების გამომჟღავნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, ის ისე კარგად ერკვევა დაავადების მსვლელობაში, მასზე მოქმედ ფაქტორებში, ამა თუ იმ წამლის აუცილებლობაში, რომ გავიჭირდებათ თქვათ, აქვს თუ არა მას სამედიცინო განათლება.

კიბო არც ისე დიდი საფრთხობელაა, როგორც ამას ზოგიერთი ხატავს. მისი განკურნებაც შეიძლება, თუ დროულად იქნა აღმოჩენილი და პროცესის შეჩერებაც; გააჩნია, რომელ სტადიაში იქნება დაავადება, როდესაც ექიმს მივმართავთ. ადრეულ სტადიაში მისგან განკურნების ერთ-ერთი მაგალითი მე გახლავართ.

ჩემი ჯანმრთელობით თავს ვერასოდეს მოვიწონებდი — ხან გულს ვუჩიოდი, ხან ბრმა ნაწლავს, ღვიძლს, და ხან — კიდევ რას.

1964 წლის დეკემბრის ბოლოს ქალურმა დაავადებამ შემაწუხა. ჩვენი რაიონის პოლიკლინიკის ექიმ-გინეკოლოგს მივაკითხე და რჩევა-დარიგება ვთხოვე. მდგომარეობა უბრალოდ მიიჩნია და მითხრა, ოდნავ გაცივებული ბრძანდებით, სახლში აბაზანა მიიღეთ, თბილად ჩაწექით და გაგივლით, საშიში არაფერიაო.

ექიმის მითითება შევასრულე, მაგრამ იმ აბაზანას ლამის თან არ გადავყევი, ძლივს დავდექი ფეხზე, მივხვდი რომ ექიმმა დაუდევრობა გამოიჩინა და მეორე დღესვე სხვა ექიმს ვეჩვენე.

— დაუყოვნებლივ ონკოლოგიურ საავადმყოფოში უნდა წაბრძანდეთ, — მითხრა მან, რაღაც დაწერა, კონვერტში ჩადო და საგულდაგულოდ დაწება. მერე გამომიწოდა: — ეს პროფესორ ლევან ჩარკვიანს გადაეცით.

არ დავაყოვნე და, 1965 წლის 3 იანვარს, ონკოლოგიურ საავადმყოფოში მივედი, პროფესორი ლ. ჩარკვიანი ვიკითხე და კონვერტი გადავეცი. წაიკითხა.

— მერე ავადმყოფი სად არის? — იკითხა მან.

— მე გახლავართ ავადმყოფი, — მივუგე და მაშინვე გაკვირვება ამოვიკითხე მის სახეზე. მივხვდი, რომ ავადმყოფები არც თუ ისე სიამოვნებით მიდიან მათთან საკუთარი ფეხით.

— აბა, გავსინჯოთ. მოამზადეთ! — უთხრა ექიმებს და მეც რამდენიმე წუთის შემდეგ ოთხი ექიმის სასინჯი ობიექტი გავხდი.

— მდგომარეობა სერიოზულია, — მითხრა პროფესორმა დაუფარავად. — რაც შეიძლება, ჩქარა უნდა გაიკეთოთ ოპერაცია. თითოეულ საათსაც კი მნიშვნელობა აქვს თქვენი სიცოცხლისათვის. პასუხი უნდა მაცნობოთ დღესვე.

სასოწარკვეთილი და მძიმედ ჩაფიქრებული, ალერსიანად ჩამომაცილა კიბეებზე ექიმმა რაისა ნაციაშვილმა.

1965 წლის 9 იანვარს დილით მე უკვე საოპერაციო მაგიდაზე მელოდნენ. საავადმყოფოს დერეფანში მიმავალს, კუთხეში მდგარი ავადმყოფი ქალების ჩურჩული ჩამესმა:

— საცოდავი, რა ახალგაზრდაა! ოპერაცია უნდა გაუკეთონ, საშვილოსნოს კიბო აქვს...

გაბედულად შევედი საოპერაციო ოთახში, ერთი მოვავლე თვალი მაგიდის ირგვლივ შემოკრებილ თეთრხალათიანებს და ძილს მივეცი თავი...

ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა. თავს შესანიშნავად

ვგრძნობ, ვარ ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ, ვმუშაობ და საზოგადოებრივ საქმიანობასაც ვეწევი. ვფიქრობ, რომ ჩემი დროული მისვლა ექიმთან, დროული ოპერაცია, საწინდარი გახდა ჩემი სიცოცხლისა, ხოლო, თუ რამდენად ხანგრძლივი იქნება მომავალში ჩემი არსებობა, ეს ჩემზე ბევრადაა დამოკიდებული...

მე ვთხოვ ყველა ქალს, ყველა დედას, წელიწადში ერთხელ მაინც ეჩვენოს ექიმ-გინეკოლოგს და მიღებული რჩევა-დარიგება უყოყმანოდ შეასრულოს.

როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო, — უთქვამს ხალხს. კიბო არც ისე საზარელი დაავადებაა, როგორც გვგონია, თუ საშიში სიმპტომების შემჩნევისას არ შეგვეშინდება ექიმთან მისვლა, გადაუდებლივ, ერთი საათის დაუგვიანებლად. ეს ყველა ქალის მოვალეობაა.

პატივცემულო რედაქციავ! გთხოვთ, პატარა კუთხე თქვენი ჟურნალისა დაუთმოთ ამ წერილს, დღეს ეს უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე.

**თინა მატარაძე,**
**ქ. თბილისი.**

## ბავშვი და მისი მოვლა

**მშვიდობისათვის თავდადებული მებრძოლის — ბენჟამინ სპოკის სახელი ჩვენში კარგად არის ცნობილი. მაგრამ, შეიძლება, ყველამ არ იცოდეს, რომ ბენჟამინ სპოკი სახელგანთქმული პედიატრია, რომლის წიგნი „ბავშვი და მისი მოვლა" აგერ, ოცდახუთ წელიწადზე მეტია, რაც მტკიცედ ინარჩუნებს ადგილს ამერიკულ ბესტსელერთა სიაში. ეს შრომა პირველად 1946 წელს დაიბეჭდა და დღემდე მისმა ტირაჟმა 20 მილიონ ეგზემპლარს მიაღწია. ეს ფანტასტიკური ტირაჟია ამერიკისათვის!**

**რაშია ამ დიდი წარმატების საიდუმლოება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გაგიძნელდებათ, თუ დოქტორ სპოკის წიგნს წაიკითხავთ. „ბავშვი და მისი მოვლა" და სპოკის მომდევნო წიგნი „საუბრები დედასთან" რუსულ ენაზეც დაიბეჭდა. ალბათ, მალე მათ ქართულ თარგმანსაც ვნახავთ. ჯერჯერობით კი, ჩვენი ჟურნალი დროდადრო გამოაქვეყნებს ნაწყვეტებს ამ ორი მშვენიერი წიგნიდან.**

**ბენჟამინ სპოკი — ექიმი პედიატრი**

# ენდეთ თქვენს თავს

მალე ბავშვი გეყოლებათ, შეიძლება, ის უკვე კიდეც გაჩნდა. თქვენ ბედნიერი ხართ და ენთუზიაზმით სავსე. მაგრამ თუ საკმაო გამოცდილება არა გაქვთ, ალბათ, გეშინიათ, რომ ვერ აუხვალთ ბავშვის მოვლას. ბავშვთა აღზრდაზე თქვენ ბევრი საუბარი მოისმინეთ, წაიკითხეთ სპეციალური ლიტერატურა ამ თემაზე, ესაუბრეთ ექიმებს. ბავშვის მოვლის პრობლემა, შეიძლება, მეტისმეტად რთული მოგეჩვენოთ. თქვენ არკვევთ, რა ვიტამინები და აცრა სჭირდება ბავშვს. ერთი ნაცნობი გეუბნებათ, კვერცხის მიცემა რაც შეიძლება ადრე უნდა დაიწყოთ, რადგან რკინას შეიცავსო, მეორე კი — კვერცხის მიცემა უნდა დააყოვნოთ, რადგან კვერცხი დიათეზს იწვევსო. გეუბნებიან, თუ ხშირად აიყვანთ ბავშვს ხელში, გაგინებივრდებათ და, პირიქით, ბავშვს ბევრი მოფერება უნდაო.

ზედმიწევნით ნუ გაუწევთ ანგარიშს ყველაფერს იმას, რასაც ნაცნობები გეუბნებიან. ნუ შეგეშინდებათ საკუთარ საღ აზრს დაუჯეროთ. ბავშვის აღზრდა რთული საქმე არ იქნება, თუ თქვენ თვითონ არ გაართულებთ. დაუჯერეთ საკუთარ ინტუიციას და ბავშვის ექიმის რჩევა-დარიგებას მიჰყევით. მთავარი, რაც ბავშვს სჭირდება — თქვენი სიყვარული და ზრუნვაა. ეს გაცილებით უფრო დასაფასებელია, ვიდრე თეორიული ცოდნა. ყოველთვის, როცა კი ბავშვს ხელში აიყვანთ, მაშინაც კი, თუ თავდაპირველად ეს უხერხულად გამოგდით, ყოველთვის, როცა კი საფენს უცვლით, აბანავებთ, აჭმევთ, ელაპარაკებით, უღიმით, ბავშვი გრძნობს, რომ ის გეკუთვნით თქვენ, თქვენ კი — მას. ქვეყანაზე თქვენს მეტს არავის შეუძლია მიანიჭოს მას ეს გრძნობა. ალბათ, გაგიკვირდებათ, რომ მეცნიერები ბავშვთა აღზრდის მეთოდების შესწავლისას იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კარგი, მოსიყვარულე მშობლები ინტუიციით ირჩევენ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებებს. უფრო მეტიც, საკუთარი ძალების რწმენა — წარმატების საწინდარია. იყავით ბუნებრივი და შეცდომებისა ნუ გეშინიათ.

### რას ნიშნავს ბავშვის კვება

ბავშვმა უფრო მეტი იცის, ვიდრე თქვენ გგონიათ. მას, როგორც ყოველ ადამიანს, შიმშილის ინსტიქტი გააჩნია. თუ ის სისტემატურად არასაკმარისად იკვებება, ყვირილით კიდევ მოითხოვს რძეს, დაუჯერეთ მას და ექიმს მოეთათბირეთ. თუ ჩვეული ულუფა ბოლომდე არ დალია, ნუ დააძალებთ.

ჩათვალეთ, რომ ბავშვი იმიტომ ღვიძებს, რომ მშიერია და უმეტესად იმიტომ ყვირის, რომ შია. იგი პატარა პირით ხარბად ეტანება ძუძუს თავს (ან მაწოვარას). ბავშვისათვის წოვა სერიოზული საქმეა. მონდომებისაგან შეიძლება გაოფლიანდეს კიდეც. თუ მაწოვარას დანაყრებამდე წაართმევთ, აღშფოთებული ყვირილს დაიწყებს. როცა ბავშვი საკმარის რძეს გამოწოვს, სიმაძღრისაგან გაბრუვდება და ისევ დაიძინებს. ძილშიც კი წოვით მოძრაობებს აკეთებს, თითქოს ესიზმრება, რომ აჭმევენ და სახეზე ნეტარების გამომეტყველება აქვს. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჭამა — მისი ცხოვრების მთავარი სიხარულია. პირველ წარმოდგენას ცხოვრებაზე ბავშვი იმ გარემოცვიდან იღებს, რომელშიაც ხდება მისი კვება. პირველ წარმოდგენას ხალხზე იმ ადამიანისაგან იღებს, რომელიც მას აჭმევს.

თუ დედა სისტემატურად აძალებს ბავშვს იმაზე მეტი რძის დალევას, ვიდრე უნდა, ის თანდათანობით დაკარგავს მადას. იგი ეცდება, თავი აარიდოს დაძალებას და ყოველ ჯერზე უფრო და უფრო ადრე დაიძინებს, ან გაჯიუტდება და ჭამაზე პროტესტს განაცხადებს. თუ ასე გაგრძელდა, ბავშვის ცოცხალი, მხიარული ცნობისმოყვარეობა ცხოვრების მიმართ თანდათანობით გაქრება. ის თითქოს თავისთვის ფიქრობს: „ცხოვრება-ბრძოლაა. ეს ხალხი მოსვენებას არ მაძლევს, მეც უნდა ვიბრძოლო, რომ თავი დავიცვა".

მაშ ასე, ნუ აიძულებთ თქვენს შვილს ჭამოს იმაზე მეტი, ვიდრე უნდა. დაე, ჭამა მისთვის სიამოვნებად დარჩეს, მაშინ იგრძნობს, რომ მისი მეგობარი ხართ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარ თავში რწმენის განვითარებისათვის, ცხოვრებისადმი სიყვარულის განვითარებისათვის, რისი საფუძვლებიც ბავშვს სიცოცხლის პირველ წელს ეყრება.

### ძილი

**რამდენ ხანს უნდა ეძინოს ბავშვს?** ხშირად მეკითხებიან დედები. პასუხის გაცემა კი მხოლოდ თვითონ ბავშვს შეუძლია. ერთი ბავშვისთვის ბევრი ძილია აუცილებელი, მეორისთვის — სულ ცოტა. თუ ბავშვი მაძღარია, მოვლილი, ხშირად არის სუფთა ჰაერზე და გრილ ოთახში სძინავს, შეგიძლიათ დართოთ მას ნება თვითონ გადაწყვიტოს, თუ რამდენ ხანს ეძინოს. ახალშობილთა უმრავლესობას, თუ მაძღრები არიან და კუჭი ნორმალურად მუშაობს, ჭამიდან ჭამამდე სძინავს. მაგრამ ზოგიერთ ბავშვს დაბადებიდანვე ძალიან ცოტა სძინავს, და განა იმიტომ, რომ რაიმე აწუხებს! ამისათვის ზომების მიღება საჭირო არ არის.

რაც უფრო იზრდება ბავშვი, მით უფრო ნაკლებს იძინებს. ჩვეულებრივ, ფხიზლობის პირველი პერიოდი დაახლოებით საღამოს 4-5 საათისათვის იწყება. თანდათანობით ბავშვი დღის სხვა საათებშიც დაიწყებს ფხიზლობას. ყოველ ბავშვს ძილის საკუთარი განრიგი აქვს. სიცოცხლის პირველი წლის ბოლოს ბავშვი უმეტესად დღეში 2-ჯერ იძინებს. ერთ წელსა და წელიწადნახევარს შორის კი ერთჯერად ძილზე გადაჰყავთ. მხოლოდ ჩვილობისას შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული, რომ ბავშვს იმდენ ხანს სძინავს, რამდენიც უნდა. ორი წლის ბავშვი რთული არსებაა. აღგზნების, მოუსვენრობის და სხვა მიზეზების გამო, შეიძლება, უფრო ნაკლები ეძინოს, ვიდრე მის ორგანიზმს სჭირდება.



**ნუ ჩაიწვენთ ბავშვს თქვენს ლოგინში.** პატარა ბავშვებს აქვთ ხოლმე პერიოდები, როდესაც ღამით იღვიძებენ და მწარედ ატირებულნი მშობლების ოთახში მიდიან. მშობლები ბავშვს თავიანთ ლოგინში იწვენენ, რაც ამ დროს ყველაზე პრაქტიკულ ღონისძიებად მიაჩნიათ, მაგრამ ეს შეცდომაა. მშობლების თბილი, მყუდრო საწოლის სიყვარულით ბავშვი მათთან ღამღამობით მისვლას შიშინაც კი გააგრძელებს, როცა ღამით არაფრის აღარ ეშინია. ამ ჩვევის აღმოფხვრა გაგიჭირდებათ. ამიტომ, თუ ბავშვი ღამღამობით თქვენთან მოდის, დაამშვიდეთ, მაგრამ მტკიცედ დადექით და უკანვე ჩააწვინეთ თავის საწოლში. მე მგონი, ყველაზე ჭკვიანური ის იქნება, თუ ბავშვს არავითარი საბაბით არ ჩაიწვენთ ლოგინში.

**ბავშვთან მშვიდი, გულითადი დამოკიდებულება თქვენი ურთიერთობის მთავარი ნიშანი უნდა იყოს.** როდესაც თქვენ ბავშვს აჭმევთ, აცმევთ, ბანთ, ელაპარაკებით, საფენს უცვლით, ხელში გიჭირავთ, ან — უბრალოდ, მასთან ერთ ოთახში იმყოფებით, სულ უფრო მეტად შეიგრძნობს, თუ რა ბევრს ნიშნავს ის თქვენთვის და თქვენ მისთვის. როცა მას ეფერებით, ეხვევით და აჩვენებთ, რომ ყველაზე კარგი ბავშვია მთელ ქვეყანაზე, თქვენ მას ბედნიერს ხდით. მოფერებას ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ემოციური განვითარებისათვის, როგორც რძეს — ფიზიკური განვითარებისათვის. შეიძლება, ამიტომ, ჩვენ, დიდები ყოველთვის მივისწრაფით სიამოვნება მივანიჭოთ ბავშვს, ინსტიქტურად ვიჩლექთ ენას, თავს ვაკანტურებთ და ა. შ. თვით დარბაისელი და უკარება ადამიანებიც კი ასე იქცევიან. იცით, რა არის მშობლების გამოუცდელობის მთავარი ნაკლი? მეტისმეტად სერიოზული დამოკიდებულება საკუთარი მოვალეობისადმი. ეს ხელს გვიშლის დედობისაგან მოგვრილი სიამოვნებით დავტკბეთ. ჰოდა, ასეთ შემთხვევაში დედაც და ბავშვიც ცხოვრების უდიდეს სიხარულს არიან მოკლებულნი.

რასაკვირველია, მე იმის თქმა არ მინდა, რომ როდესაც ბავშვი ფხიზლობს, შეუსვენებლივ უნდა ელაპარაკოთ, ან გამუდმებით ანჯღრიოთ და უღუტუნოთ, ეს მხოლოდ დაღლის მას და საბოლოოდ ან შინაგან შებოჭილობამდე მიიყვანს ან გაანებივრებს. როგორც ბავშვისათვის, ისე დედისათვის მთავარია ალერსიანი მეგობრობა, რომელიც თქვენი ხელების სითბოში, თქვენი სახის მშვიდობიან, მოსიყვარულე გამომეტყველებაში, თქვენი ხმის ნაზ ინტონაციაში მჟღავნდება.

**მეგობრობა განებივრების გარეშე.** რასაკვირველია, ბავშვისათვის, როცა არ სძინავს, სასარგებლოა დედასთან (დებთან, ძმებთან თუ ისინი ჰყავს) ახლოს ყოფნა, რათა უყუროს, ეტიტინოს მათ, გაიგოს მათი ხმა. მაგრამ არაგონივრულია, თუ ერთი წუთითაც არ ტოვებთ და მუდმივად ბავშვის ხელით ტარებაში ან გართობაში ხართ. დედასთან ყოფნა ბავშვს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს და დიდი სარგებლობა მოაქვს მისთვის, მაგრამ მან თვითონაც უნდა ისწავლოს თავის გართობა. ხდება ხოლმე, რომ დედას იმდენად უყვარს თავისი სიყრმის შვილი, რომ დაძინებამდე სულ ხელში უჭირავს და ართობს. ბავშვი, შეიძლება, შეეჩვიოს დედის გამუდმებულ ყურადღებას და თანდათანობით სულ უფრო მომთხოვნი გახდება.

## განებივრება

**შეიძლება თუ არა ბავშვის განებივრება ამ ასაკში?** ამ საკითხზე მსჯელობა იქიდან იწყება, როდესაც კვებამდე პერიოდში ბავშვი ტირის. იმის მაგივრად, რომ მშვიდად ეძინოს. როცა ხელში იყვან და ოთახში გაასეირნებ, იგი დროებით მაინც ჩუმდება, მაგრამ როგორც კი უკან ჩააწვენ, ყველაფერი თავიდან იწყება. მე ვფიქრობ, რომ პირველი 2 თვე შეიძლება სრულიად არ ვიღელვოთ განებივრების თაობაზე. როგორც ჩანს, ასეთი ბავშვი თავს ცუდად გრძნობს, ნერვებაშლილია, ხელში აყვანა მას ართობს, მოძრაობა კი ამშვიდებს. გარდა ამისა, თქვენი სხეულის სითბო და მუცელზე დაწოლაც შველის. თუ შემდგომში კიდეც გადაწყვეტთ, რომ ბავშვი ცოტათი გაანებივრეთ, 4-5 თვის ასაკში მისი გამოსწორება რამდენიმე დღეში თქვენთვის ძნელი არ იქნება.

**უფრო ფრთხილად იყავით 8 თვისათვის.** ამ დროისათვის ბავშვს გაზები აღარ აწუხებს, მისი ნერვული სისტემა წესრიგდება — ისე, რომ მისი ცუდი განწყობის გამომწვევი მიზეზები ქრება (ბავშვს ძალიან იშვიათად აწუხებს გაზები 4-5 თვის ასაკში). თქვენ ამჩნევთ, რომ ბავშვი უკვე აღარ იღვიძებს უცებ სპაზმებით და გაბერილი მუცლით. აღარც განუწყვეტლივ ტირის გაღიზიანებული. რა თქმა უნდა, ის ბავშვები, რომლებიც პირველი 3 თვე ხელიდან არ ჩამოდიოდნენ, შემდეგ ალბათ, ცოტა განებივრებულნი იქნებიან. მათ უნდათ, რომ წინანდებურად სულ ხელში ეკავოთ და მხოლოდ მათთვის ეცალოთ. ახლა უფრო გონივრული იქნება, თუ თქვენს თანაგრძნობას შეამცირებთ. მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ თქვენ უცბათ ძალიან მკაცრი უნდა გახდეთ. მაგრამ როცა ბავშვის დაძინების დრო მოვა, ღიმილით, მაგრამ მტკიცედ უნდა უთხრათ, რომ ძილის დროა, ეტყვით თუ არა, წადით, თუგინდ რამდენიმე ხანს კიდევ იტიროს.

**იმ მშობლებზე, რომლებიც ადვილად უთმობენ.** თუ ბავშვის ყოველ ტირილზე დედა მზად არის ხელში აიყვანოს, ორი თვის შემდეგ ბავშვმა, შეიძლება, ყოველთვის, როცა კი არ სძინავს, ხელში აყვანა მოითხოვოს. თუ დედა წინანდებურად კვლავ დაუთმობს, ბავშვი სულ მალე მიხვდება, რომ თავისი საცოდავი, გაწამებული დედა ფეხქვეშ ჰყავს გაგებული და მის უზომო ჩაგვრას დაიწყებს, მოითხოვს, რომ გამუდმებით ხელით ატარონ. გულის სიღრმეში დედას არ შეუძლია არ აღშფოთდეს და უნებლიეთ ბავშვი მისთვის არასასიამოვნო ხდება. მას რცხვენია ამ გრძნობების, მაგრამ შექმნილი არანორმალური მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ხედავს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვრილ-წვრილი რჩევები

უმი კვერცხი შეიძლება ისე შეინახოთ, რომ ნახევარი წელიც არ გაფუჭდეს. ამისათვის საჭიროა სპეციალური ხსნარის დამზადება: 1 კგ მარილი გახსენით 5 ლიტრ წყალში, დაუმატეთ 2–3 ჩაის კოვზი გამომწვარი კირი, კვერცხები ჩაალაგეთ თიხის ჭურჭელში და დაასხით ზედ მომზადებული, ცივი ხსნარი.

მაცივარში კვერცხები დაახლოებით ორ კვირას ინახება, ხოლო თუ მათ სათითაოდ შეახვევთ ქაღალდში და კვირაში ერთხელ გადააბრუნებთ, შენახვის ვადა ბევრად გახანგრძლივდება.

თუ მაცივარი არა გაქვთ, მაშინ თითოეულ კვერცხს თხლად გადაუსვით ქონი ან მზესუმზირის ზეთი. ესეც ხელს უწყობს კვერცხის დიდხანს შენახვას.

დაბზარული კვერცხიდან ცილა არ გადმოიღვრება, თუ მას მარილწყალში მოხარშავთ.

მაგრად მოხარშულ კვერცხს რამდენიმე დღის შემდეგაც ახლად მოხარშულის გემო ექნება, თუ ჭამის წინ 15-20 წამით მდუღარეში ჩაუშვებთ.

თუ ხახვს მოხრაკვისას სულ ცოტა შაქრის ფხვნილს მოაყრით, ის ძალზე გემრიელი იქნება და ამავე დროს ლამაზ ოქროსფერს გადაიკრავს.

ყველი დიდხანს შეგენახებათ, თუ დახურულ მინის ჭურჭელში მოათავსებთ და შიგ რამდენიმე ნაჭერ შაქარს ჩაუწყობთ.

თევზის ხარშვისას მდუღარე წყალში ცოტა რძე ჩაუმატეთ. თევზი არაჩვეულებრივად ნაზი გამოვა და სპეციფიკურ სუნსაც დაკარგავს.

ფქვილსა და ბრინჯს დიდხანს შენახვით ჭიები უჩნდება. ეს რომ არ მოხდეს, ქილაში ან ტომარაში, სადაც პროდუქტებს ინახავთ, 5-6 კბილი გარჩეული ნიორი ჩადეთ, რა თქმა უნდა, სალი, თორემ დალპება. არც ფქვილი და არც ბრინჯი ნივრის სუნს არ მიიღებს, ჭიის გაჩენისაგან კი დაზღვეული იქნება.

# მაქმანის ისტორია

მას შემდეგ, რაც მოდაში თეთრი საცვლების ხმარება შემოვიდა, გაჩნდა მაქმანის ხელოვნებაც. მაქმანით აწყობდნენ პერანგის საყელოს, მაჯებს, გულისპირს... თავდაპირველად მხოლოდ ნაქარგი მაქმანი იცოდნენ.

მაქმანის სამშობლოდ იტალიას თვლიან. ამის შესახებ აქ ლეგენდაც კი არსებობს, თითქოს ეს ხელოვნება დედამიწაზე მოვლენილი კეთილი ფერიების ჯადოსნობით შეიქმნაო. თქმულება სავსებით შეეფერება იმ ხელოვნების გაჩენას, რომელიც აუწერელია თავისი სილამაზითა და სიმშვენიერით. მთავარი ისიც არის, რომ ამ სასწაულებრივ სილამაზეს ქმნიდა გლეხი ქალი, რომელსაც სიღარიბის მეტი არაფერი ენახა. თავისი ფანტაზიით გამოყავდა სახეები: ყვავილები, ფოთლები, ჩიტები, ნაყოფი, გეომეტრიული სხეულები, აბლაბუდა, რომელთაც იგი ქარგავდა, ქსოვდა, წნავდა... და ამ ზღაპრული სილამაზის ნამუშევარში, რომელიც მილიონ ფრანკად ფასობდა, ავტორი ისეთ გასამრჯელოს იღებდა, როგორც რაიმე შავი სამუშაოს შესრულებისას. მაქმანები ინახებოდა სეიფებში საგვარეულო ძვირფასეულობასთან ერთად, ფული კი რჩებოდა შუამავალს, რომელიც სამუშაოს შემსრულებელსა და მყიდველს შორის ტრიალებდა.

ვენეციის მაქმანი იყო პირველი სახე საფრანგეთის მაქმანებისათვის. საფრანგეთის მინისტრმა კოლბერმა იტალიიდან 30 სახის მაქმანი ჩამოიტანა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაანაწილა, მათი მიხედვით ასწავლიდნენ ამ ხელოვნებას დაქირავებულ ქალებს. მაქმანის სახე თანდათან იცვლებოდა იმ ადგილის მიხედვით, სადაც ის მუშავდებოდა და ახალ ნაირსახეს იღებდა.

მაქმანები იქმნებოდა ყაისნალით, ნემსით, ჩხირებით... მასალად ხმარობდნენ აბრეშუმის, ოქროსა და ვერცხლის ძაფებს. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ სად მუშავდებოდა ისინი.

უფაქიზეს ტულზე გამოჰყავდათ სხვადასხვა სახეები: რომბები, კვადრატები, რგოლები. ასეთი მაქმანები კეთდებოდა ფართო ტულზე მეტრობით და გათვალისწინებული იყო კაბების, წამოსასხამებისა და ყელსახვევებისათვის.

კალანსონი კეთდებოდა უფრო ვიწრო, კიდეებზე სხვადასხვანაირი ჩხვლეტილებით. იგი უმთავრესად იხმარებოდა ქალისა და ბავშვის კაბებისა და თეთრეულის მოსართავად.

ოქროს ძაფით ნაზ აბრეშუმის ტულზე იკერებოდა მაქმანი ბლონდი, რომელიც პირველად ვენეციაში გააკეთეს. სხვათა შორის მაქმანებს გერმანიაში მამაკაცები ქსოვდნენ.

მაქმანებით გატაცებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის დროს, როცა მამაკაცებმაც იწყეს მისი ტარება, საქმე იქამდე მივიდა, რომ მაქმანებით აწყობდნენ უჩვეულო საგნებსაც, მაგალითად, ცნობილი მხედართმთავარი კონდე ძვირფას მაქმანებს აფარებდა ზარბაზანს.

ლუდოვიკო XV-ის სატრფოს მაქმანების შესაძენად 31.000 ლივრი დაუხარჯავს, ხოლო ქალბატონი შუაზელი, რომელსაც „თავის უბრალოებას" ეძახდნენ, 45.000 ლივრად ღირებულ მაქმანის კაბას ატარებდა.

საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისში მაქმანები დაივიწყეს, მაგრამ მალე ისევ იჩინა თავი მაქმანებით გატაცებამ. ნაპოლეონ პირველმა აღადგინა მაქმანი კალანსონი. ბევრ ქვეყანაში გაიხსნა მაქმანების ფაბრიკები, სადაც კარგად ბაძავდნენ ხელით ნამუშევრებს. ეს გაცილებით იაფი ჯდებოდა და ხელმისაწვდომი იყო ხალხის ფართო მასებისათვის.

ლ. სანდუკიანი

გარეკანის პირველ გვერდზე — ნანი ბრეგვაძე. ფოტო დ. იაკობაშვილისა;
მეოთხე გვერდზე — მოდები. მანანა მოდებაძის ნამუშევარი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი კორექტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 16/XII-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I-72 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.
ტირაჟი 123.260. შეკვ. 4314. უე 01724. ფასი 30 კაპ.

# საღამოს კაბები

**ქალებისა და ქალიშვილებისათვის**

მხატვარი მოდელიორი მანანა მოდებაძე



1 2 3 4

1. საღამოს კაბა „მაქსი“, გვერდზე შეხსნილია და გაწყობილია ნაქარგი ხევსურული ორნამენტით ასევე გაწყობილია კაბის საკინძე და სამაჯეები.

2. საღამოს კაბა გაწყობილია მაქმანით, რომელიც წელის ხაზთან მთავრდება.

3-4. კომპლექტი — კაბა მოსასხამით. კაბა გვერდზე შეხსნილია და დაქარგული. საკინძე და სამაჯეები ჩაღილულია და ჰაეროვანი ყულფებით იკვრება. დაქარგულია მოსასხამიც, რომელიც აჭრილია ირიბი ქსოვილისაგან და ერთ ღილზე იკვრება. კომპლექტს ავსებს დაქარგული, ფოჩიანი ხელჩანთა.

5. კოკეტიანი კაბა „მიდი“. საკინძე, სამაჯეები და ქამარი ღილებზე იკვრება, სახელოები მიდგმულია, მხარზე ნაოჭასხმული. კაბის ბოლო ოდნავ განივრდება.

6. დეკოლტიანი კაბა მკერდის ქვემოთ არის შეჭრილი (აჭრილობა „პრინცესი“). კაბისა და სახელოების ზემონაწილი ნაოჭასხმულია. ქვედატანი — კლოში.

7. მთლიანადაჭრილი კაბა გაწყობილია მაქმანით ან შიფონის ქსოვილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა
გ 316/47



5 6 7

ИНДЕКС 76178